# ოქტომბრის დროშით, კომუნიზმისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 256 (12170) | სამშაბათი, 7 ნოემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

## მოგილოცავთ ოქტომბრის დიად დღესასწაულს, ძვირფასო მეგობრებო!

## დიადი ოქტომბერი

44

წელი! რა მცირე დროა ისტორიისათვის და რამდენი დიადი, საკაცობრიო მოვლენებით არის აღსავსე...

ორმოცდაოთხი წლის წინათ, მთელ რუსეთს, მთელ ჩვენს დიად სამშობლოს ჩრდილს ჰფენდა თვითმპყრობელობის ორთავიანი არწივი, მეფობდა კაპიტალისტთა და მემამულეთა თვითნებობა, ხალხი გმინავდა, კვნესოდა თავისი ავბედობის გამო...

სწრაფად მიჰქროდა დრო.

პეტროგრადს, მოსკოვს უახლოვდებოდა რევოლუციური ქარიშხლის ქუხილი, კლასობრივი ბრძოლის ცეცხლში მტკიცდებოდა მუშათა კლასის ორგანიზებულობა, მაღლდებოდა მისი სოციალისტური შეგნებულობა, იწრთობოდა, ირაზმებოდა. მასებში სულ უფრო იზრდებოდა ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი...

იდგა „ავრორა" და ემზადებოდა...

იდგა კომუნისტი ჯარისკაცი რევოლუციის ამ მარად დაუვიწყარი აკვნის სათოფურებთან და ნათელი თვალებით გაჰყურებდა ადამიანის ბრწყინვალე მომავალს.

გაიციალა ცისკრის ვარსკვლავმა, პარტიამ ბრძანა, ხალხმა ბრძანა და აქუხდა „ავრორა",

ტალღებად წამოვიდა ოქტომბრის ძლევამოსილი დროშა...

მზემ გაფანტა ორთავიანი არწივის ჩრდილი, სინათლემ სძლია სიბნელეს, კეთილმა დაამარცხა ბოროტი, გაიმარჯვა მშრომელი ადამიანის მარჯვენამ, მისმა აზრმა და გონებამ...

და დაიბადა უძლეველი საბჭოთა ქვეყანა, როგორც მნათობი, ახალი გზის მანათობელი შუქურა.

ორმოცდაოთხი წელია კიაფობს, ანთია ეს შუქურა მშრომელ ადამიანთა გულის გასახარად, მისი სიკეთისა და ბედნიერებისათვის, ადამიანთა ძმობისა და მეგობრობისათვის!

ორმოცდაოთხი წელია ფრიალებს გამარჯვების ლენინური დროშა საბჭოთა ქვეყნის წმიდა მიწაზე.

სიბნელიდან და უმეცრებიდან ჩვენი ქვეყანა გაიჭრა სინათლისკენ, დაადგა პროგრესის ფართო გზას. სოციალისტური რევოლუციის ჩირაღდანმა, რომელიც ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასმა აანთო, შუქი მოჰფინა მთელ მსოფლიოს.

„ის ფაქტი, რომ ჩვენი პარტია თავის ყრილობაზე იღებს ახალ პროგრამას, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ XXII ყრილობაზე, — სოციალიზმისა და კომუნიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა მაჩვენებელია, დიდი ოქტომბრის საქმის გამარჯვება და მარქსიზმ-ლენინიზმის ახალი ტრიუმფია".

დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა, მუზეუმებს გადაეცა ის დრო როცა რუსეთი უროსა და ურმის, კავისა და ჭრაქის ქვეყნად ითვლებოდა. ახლა ჩვენი დიადი სამშობლო მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ენერგოგიგანტების, უზუსტესი ხელსაწყოების, ელექტრონული საანგარიშო მანქანებისა და კოსმოსური ხომალდების ქვეყანაა.

კაცობრიობისათვის ადრე უნახავი სისწრაფით მიჰქრის ჩვენი დიადი ისტორიის ლოკომოტივი. ნაპერწკლებიდან, რომლებიც დიდმა ოქტომბერმა მოფანტა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, აგიზგიზდა საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა, დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი ალი. ახლა კაცობრიობის მესამედი უკვე აშენებს ახალ ცხოვრებას მეცნიერული კომუნიზმის დროშით, ისპობა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა, იზრდება ყველა ქვეყნის კომუნისტთა დიადი არმიის რიგები.

ეს დიდი მსოფლიო გარდაქმნები, ოქტომბრის ნაპერწკლიდან გაჩაღებული ეს მძლავრი ალი კიდევ უფრო ააგიზგიზა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალმა პროგრამამ, რომელიც ამ დღეებში ერთხმად დაამტკიცა ჩვენი პარტიის ისტორიულმა XXII ყრილობამ.

ამ პროგრამის ყოველი დებულებიდან, ყოველი სტრიქონიდან ჩანს, რომ იგი გამსჭვალულია ზრუნვით ადამიანთა კეთილდღეობისათვის, ხალხის მატერიალური მდგომარეობისა და კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის.

ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ადამიანთან ერთად, საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები მიიღეს როგორც ყველაზე მძლავრი სასიცოცხლო საქმე, დიადი მომავლის ჩირაღდანი, ადამიანის საუკუნეობრივი ოცნების განხორციელება. მათ იციან, რომ ამ უდიდეს მიზანდასახულებათა შესრულება ადამიანზეა დამოკიდებული. ადამიანის გამრჯე შრომა, შემოქმედებითი აღმაფრენა, სიახლე, გამომგონებლობა იმის უტყუარი პირობაა, რომ დროზე და პირნათლად შესრულდება ყველა ის ამოცანა, რომლებიც ასე ბრძნულად დასახა პარტიის დიადმა ყრილობამ.

გამარჯვებათა დიადი დროშებით შემოვიდა ორმოცდამეოთხე ოქტომბერი.

ამოდის, ნათდება..., დედამიწას თავს დაჰკაშკაშებს კომუნიზმის ცისკრის ვარსკვლავი.

დიდება მსოფლიო ბედნიერების ამ ახალი ეპოქის ფუძემდებელს — დიდ ოქტომბერს!

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო დ. ნ. აიდიტი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა 5 ნოემბერს მიიღო მეთაური ინდონეზიის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა, რომელიც დაესწრო სკკპ XXII ყრილობას, ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხანაგი დ. ნ. აიდიტი. ნ. ს. ხრუშჩოვსა და დ. ნ. აიდიტს შორის გულითადი მეგობრული საუბარი გაიმართა.








ნახ. ი. ძოძიაშვილისა.

## კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისათვის!

### საზეიმო სხდომა კრემლის ყრილობათა სასახლეში

მოსკოვი, 6 ნოემბერი (საქდესი). დღეს კრემლის ყრილობათა სასახლეში შეიკრიბა მოსკოვის მშრომელთა ექვსი ათასზე მეტი წარმომადგენელი — მუშები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სახელოვანი ლენინური გვარდიის ვეტერანები, ოქტომბრის იერიშის გმირები, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრები. ისინი აქ მოვიდნენ მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44 წლისთავის დღესასწაულს მიეძღვნა.

სცენის სიღრმეშია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის დიდი ლენინის ვეებერთელა პორტრეტი.

17 საათია. შეკრებილნი მქუხარე ტაშით ხვდებიან ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ნ. კოსიგინს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიქოიანს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, ლ. თ. ილიჩოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ა. ნ. შელეპინს, დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, რომლებიც პრეზიდიუმში შემოდიან.

საზეიმო სხდომას ესწრებიან სკკპ XXII ყრილობის სტუმრები — საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა ხელმძღვანელები და წევრები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით დარჩნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ დიდი ოქტომბრის 44 წლისთავის დღესასწაულში. უცხოელ სტუმრებს შორის, რომლებიც მოსკოვში ჩამოვიდნენ ოქტომბრის წლისთავის დღესასწაულზე, არიან ჩინეთ-საბჭოთა კავ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## ბრძანება

### სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1961 წლის 7 ნოემბერი, № 246 ქ. მოსკოვი,

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს ჩვენი ქვეყნის ხალხები, მამაცი საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრები ზეიმობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44-ე წლისთავს.

დიდი ოქტომბრის წლისთავის ზეიმი მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XXII ყრილობამ, რაც შესანიშნავი მოვლენაა პარტიის, საბჭოთა ხალხის და მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში. ყრილობამ უმაღლითი ერთსულოვნებით მიიღო პარტიის ახალი პროგრამა — სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა.

ჩვენი სამშობლო, რომელიც კომუნიზმს აშენებს, უღრესად დაინტერესებულია ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი განსაკუთრებული ძალით ცხადყოფენ საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის სიმტკიცესა და თანმიმდევრულობას, მის ბრძოლას საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის.

ამასთან საბჭოთა ხალხს არ შეუძლია არ გაითვალისწინოს ის, რომ არსებობენ აგრესიული იმპერიალისტური ძალები, რომლებსაც შეუძლიათ წამოიწყონ საომარი ავანტიურები. ამ პირობებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იძულებული არიან ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, აღჭურვონ ჩვენი შეიარაღებული ძალები ბრძოლის ყველა თანამედროვე საშუალებით.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომართა წმიდათა წმიდა მოვალეობაა ფხიზლად იდგნენ ჩვენი სამშობლოს მშვიდობის, სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და უშიშროების სადარაჯოზე.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

გილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44-ე წლისთავს და გისურვებთ ახალ, უფრო დიდ წარმატებებს თქვენს შრომაში საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის!

იყავით დიდი ოქტომბრის მონაპოვართა ღირსეული დამცველნი! ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ ჯარების სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა! სრულყოფილად დაეუფლეთ სამშობლოს დაცვის ყველა საშუალებას! ბეჯითად განამტკიცეთ მხედრული დისციპლინა, ორგანიზებულობა და წესრიგი თქვენს რიგებში!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44-ე წლისთავის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 7 ნოემბერს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, კიევში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცდაათი საარტილერიო ზალპით.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი

რ. მალინოვსკი.

# ჩვენ ავაშენებთ კომუნიზმს, ვიცხოვრებთ კომუნიზმში

ჩვენი სტუმარი

## მთავარია შრომა

პარტიის ახალი პროგრამით შევხვდით დიდი ოქტომბრის დღესასწაულს. სკკპ XXII ყრილობამ დაგვისახა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების გრანდიოზული ამოცანები, გვიჩვენა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის კონკრეტული, ნათელი გზა. ჩვენი მიზნები ნათელია, ამოცანები — გარკვეული. საჭიროა მხოლოდ დიდი მგზნებარებით მოვკიდოთ საქმეს ხელი.

ახლა, როცა მშობლიურ რაიონში დავბრუნდი, ამხანაგები ცოტა კითხვებს როდი მაძლევენ, როგორც ყრილობის დელეგატს. ჩვენი რაიონის მშრომელები, რა თქმა უნდა, დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ყრილობის მთელ მსვლელობას, მაგრამ მათ სურთ მოისმინონ ჩემი პირადი შთაბეჭდილებებიც, ძნელია ერთბაშად ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. შთაბეჭდილებები მეტად დიდია, უსაზღვროა.



ყრილობის მიმდინარეობის დღეებში ტელეფონით მაცნობეს ჩვენი რაიონიდან, რომ ახალციხელმა მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის სულადობისა და სახელმწიფოსათვის მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის წლიური დავალებანი.

ეს შრომითი პათოსი კიდევ უფრო გაიზარდა ყრილობის დამთავრების შემდეგ. ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, ახალციხელ მშრომელებსაც ღრმად სწამთ, რომ პარტიის მიერ დასახული ამოცანები წარმატებით გადაიჭრება, კომუნიზმი აშენდება მთელი ხალხის თავდადებული და შემოქმედებითი შრომით.

ახალ პროგრამაში პარტია ერთ-ერთ უდიდეს ამოცანად სახავს სოფლის მეურნეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას, პროდუქტების სიუხვის შექმნას. ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული რაიონის მშრომელები პირობას სდებენ მაღალრენტაბელური გახადონ ეს დარგი, მისცენ სახელმწიფოს რაც შეიძლება მეტი და იაფი მარცვლეული, ხილი, ბოსტნეული, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები.

წელს წარშანდელთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზარდა სიმინდის, კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესი ფართობი და მოსავლიანობა. კარგი მაჩვენებლები გვაქვს მეცხოველეობის განვითარების, პროდუქტიულობის ამაღლების, საკვები ბაზის შექმნისა და ბინათმშენებლობის საქმეშიც.

მაგრამ ახალციხელ მშრომელებს სრულიადაც არ აკმაყოფილებთ მოპოვებული წარმატებანი. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა მთელი ენერგია მოახმარონ პარტიის პროგრამის — კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებას.

უკვე დავსახეთ რაიონის ეკონომიკის წინსვლის ზოგიერთი პერსპექტივები. მომავალ წელს 5.000 ჰექტარამდე ავიყვანთ სიმინდის ნათეს ფართობს, მნიშვნელოვნად გავადიდებთ სიმინდის, კარტოფილისა და ბოსტნეულის საჰექტარო მოსავლიანობას, მეცხოველეობის სულადობასა და პროდუქტიულობას. შვიდწლედში 3-ჯერ გავზრდით ბაღების ფართობს, იმ ვარაუდით, რომ 1965 წელს ბაღების მთლიანმა ფართობმა 7.000-მდე ჰექტარს მიაღწიოს, ნაცვლად ახლანდელი 2.035 ჰექტარისა, ორჯერ გაიზრდება ხილის საჰექტარო მოსავლიანობა. მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში ფართოდ დავნერგავთ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავეთა გამოცდილებებს. ყოველივე ამის შესახებ პარტიის XXII ყრილობამ მიგვითითა.

„საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!" — პარტიის ეს საზეიმო დაპირება აღაფრთოვანებს, ძალასა და ენერგიას მატებს ახალციხელ მშრომელებს. მათს პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას, პატრიოტულ შემართებას სათავეში უდგანან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და პარტიის ახალი პროგრამის განმარტებასთან ერთად აქტიურად რაზმავენ მასებს მათი განხორციელებისათვის.

**ვ. ქერქაძე,**
საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი, სკკპ XXII ყრილობის დელეგატი.

### შრომითი საჩუქარი

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" კოლექტივმა შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის სახელმწიფო გეგმა და სამშობლოს მისცა მილიონნახევარი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

## მომავალი კომუნიზმს ეკუთვნის

დიდი პატივი მხვდა წილად — ვყოფილიყავი დელეგატი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXII ყრილობისა, რომელიც მოასწავებს უმნიშვნელოვანეს ეტაპს ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში.

დაძაბული ყურადღებით მოისმინა და ფართოდ განიხილა რა ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ღრმაშინაარსიანი მოხსენებები პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის შესახებ და სკკპ პროგრამის შესახებ, ყრილობამ სავსებით და მთლიანად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კურსი და პრაქტიკული საქმიანობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში და ერთხმად მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების ნიმუშს წარმოადგენს. ყრილობამ ცხოველი ინტერესით განიხილა და ასევე ერთხმად მიიღო პარტიის ახალი წესდება.

სკკპ XXII ყრილობამ ახალი გრანდიოზული ამოცანები დაგვისახა და უდიდესი პერსპექტივები გადაგვიშალა ჩვენ, საბჭოთა მეცნიერებს. პარტია მოგვიწოდებს სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი მძლავრი განვითარებით უზრუნველვყოთ ბუნების სიმდიდრეთა უფრო ეფექტიანად გამოყენება, აღმოვაჩინოთ ენერგიის ახალი სახეობანი და შევქმნათ ახალი მასალები, დავეუფლოთ კოსმოსურ სივრცეს...

ჩვენ, საბჭოთა მეცნიერები, რომლებსაც შემოქმედებითი მუშაობის უაღრესად ხელსაყრელი პირობები გვაქვს შექმნილი, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ შევასრულოთ სკკპ ახალი პროგრამით საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასმული უაღრესად საპატიო ამოცანა — განვუმტკიცოთ საბჭოთა მეცნიერებას ცოდნის უმნიშვნელოვანეს დარგებში მოპოვებული მოწინავე პოზიციები და დავიკავოთ წამყვანი მდგომარეობა მსოფლიო მეცნიერებაში ყველა ძირითადი მიმართულებით.

**ნ. მუსხელიშვილი**
აკადემიკოსი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სკკპ XXII ყრილობის დელეგატი.



## ყრილობის დღეებსა და ყრილობის შემდეგ

ზესტაფონი. (საქ. კორ.). პარტიის XXII ისტორიული ყრილობის მუშაობით აღფრთოვანებული ზესტაფონელი მეტალურგები და მექაბელეები გაორკეცებული ენერგიით იბრძვიან ახალი შრომითი მიღწევებისათვის.

განსაკუთრებული თავდადებით იმუშავა პარტიის XXII ყრილობის დელეგატის ლ. კობახიძის ბრიგადამ, რომელიც პირველი საამქროს № 2 სადნობ ღუმელს ემსახურება. ამავე ღუმელს მართავენ ს. ვერულაშვილის, ვ. ხუჯაძის, ლ. ჯუღელის ბრიგადები. ამ ბრიგადებმა ყრილობის მუშაობის დღეებში მოიპოვეს კომუნისტური შრომის სახელი. ისინი გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ. ყრილობის შემდეგ ათეულ ტონობით ზეგეგმითი ლითონი გამოადნეს და 1.436.700 კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგეს.

სურათზე: ფეროშენადნობთა ქარხნის პირველი საამქროს მდნობელები ჟ. ღვინჯილია (მარცხნივ) და ა. ნებიერიძე, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ფოტო ბ. დადვაძისა

# სიყვარულით გზად და ხიდად...

ეს მოხდა გასულ საუკუნეში: ბედის საძიებლად ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გამოემგზავრა ესტონელი პუსტ ანდრესი. აქაურ ადგილებში ნამყოფი მასწავლებლისაგან გაგონილი ჰქონდა, რომ შავი ზღვის სანაპიროებზე ნოყიერი მიწები და თბილი, ტენიანი ჰავა არისო. რის ვაი-ვაგლახით, დიდი გაჭირვებით, თითქმის ქვეითად მოაღწია საქართველომდე. მწვანითა და ხშირი ტყეებით შემოსილ ერთ ადგილას შეჩერდა. მერე მას სხვა თვისტომნიც შემოუერთდნენ. და დამკვიდრდნენ ქართულ მიწაზე ესტონელები. სოფელს ესტონკა შეერქვა. მოთმინებითა და სიყვარულით აშენებდა ცხოვრებას მამაცი და გონიერი ხალხი იმ ტიალ დროში, შრომობდნენ, ქმნიდნენ მომავლის იმედით.

მეორე სამშობლო გახდა მათთვის ჩვენი მიწა-წყალი. სტუმართმოყვარე ქართველებმა და აფხაზებმა შეისისხლხორცეს ისინი.

და როდესაც აფხაზეთის წმინდა ცაზე ოქტომბრის შუქმა შეანათა, ესტონკამაც გაიღიმა, მხრები გაშალა, მზეს შესცინა. ადამიანთა გულში ახალი გრძნობები გაჩნდა, ახალი იმედები, ახალი სურვილები.

მომავალ გაზაფხულს ამ ლამაზ სოფელს დაფუძნებიდან ოთხმოცი წელი უსრულდება. ამჟამად ესტონკაში მხოლოდ ესტონელები როდი ცხოვრობენ. აქ ერთმანეთის მხარდამხარ ახალ ცხოვრებას აშენებენ ესტონელები და ქართველები, რუსები და უკრაინელები, სომხები და აზერბაიჯანელები.

### ძმობის სოფელი

ესტონკელები შრომის მაღალი მაჩვენებლებით შეეგებნენ კომუნისტური პარტიის ისტორიულ XXII ყრილობას. საგულდაგულოდ მოემზადა სოფელი ოქტომბრის რევოლუციის 44 წლისთავის დღესასწაულისათვის.

ამ ლავწლზე, ამ საქმეებზე მეტყველებს აქ ყველაფერი. ლამაზ გვირისტად მისდევს სოფელს მოკირწყლული შარაგზები. სადაფის კოხტა ლილებივით ჩამწკრივებულა ქვითა და აგურით ნაშენი სახლები. გზის მარცხნივ საბავშვო ბაგა და მანქანების სარემონტო სახელოსნოა; ზემოთ, ჩაის პლანტაციებში მომუშავეებისთვის თბილი ულუფის მიმწოდებელი სპეციალური სასადილო; ქვემოთ—სპორტული მოედანი, ამბულატორია, ხილის საშრობი ქარხანა...

ყველაფერს მოჭირნახულე, მზრუნველი ხელი ატყვია, ყველაფერი ჯავარიანი ხალხის მარჯვენამ შექმნა, და რა გასაკვირველია, რომ ესტონელებს თავიანთ წილად და ღვიძლად მიაჩნდეთ აქ ყოველი ბუჩქი, სერი და ბექობი.

ახლა ესტონკაში ოქროსფერი შემოდგომაა. მოდის ხილით, თამბაქოთი, ჩაით დატვირთული მანქანები. ივსება ესტონკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბეღლები. სახელმწიფო იღებს კოლმეურნეთა ჭირნახულს. უკვე ჩაბარებულია ათას ხუთასი ცენტნერი მაღალხარისხოვანი ხილი. ალბათ ესტონკაში დაკრეფილი კეფირის საუკეთესო ჯიშის მსხალი ამ ზამთარს ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა ბევრ სუფრას დაამშვენებს. თამბაქოს დამზადებაშიც ესტონკელებმა სოხუმის რაიონის ყველა კოლმეურნეობას გაუსწრეს.

ესტონკაში „მინდვრის დედოფალიც" მშვენივრად გრძნობს თავს. ჩაი, ეთერზეთოვანი კულტურები, მებაღეობა, მებოსტნეობა, აბრეშუმის პარკი, რძე, კვერცხი, ხორცი, რასაც კი ადამიანის ხელი მისწვდება, არის და მოჰყავს აქაურ მარჯვე ადამიანებს.

საკეთილდღეო საქმისათვის ეჯიბრებიან ერთმანეთს მებოსტნეობა-მეთესლეობის ბრიგადირი — ქართველი ივანე ჯიბლაძე და მემინდვრეობის მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელი სომეხი ანრენიკ დურნიანი.

ივანე 12 წელია ბრიგადირად მუშაობს. ალბათ ბევრი ვერ დაიკვეხნის მისებრ გარჯილობას. მოწინავე ბრიგადიდან ჩამორჩენილ ბრიგადაში მოისურვა გადასვლა. ფეხზე დააყენა, საათივითააწყო საქმე. 35 წევრიდან რომელი ერთი ახსენოს, რომელი ერთი დაასახელოს: თურქაძე ოლია თუ რგოლის ხელმძღვანელი აუნერი ანეტა, ნოდარ ნიკოლაძე თუ იულია კნუტი? ყველანი კარგად მუშაობენ, ყველას ესმის საერთო შრომის ფასი და მადლი.

— მოგიკვდეს ბიჭი, თუ ჩამოგრჩე! — „იმუქრება" დურნიანი. მისმა ბრიგადამ თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა გადამეტებით შეასრულა. გეგმის ზევით ბარდება სახელმწიფოს ხილი, ჩაი, ეთერზეთოვანი კულტურები.

ამ მეგობრულ შეჯიბრებას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს; ურთიერთ დახმარება და სიყვარული, საერთო წარმატების მიღწევა და მეტი პროდუქციის შექმნა!

მეგობრობისა და სიყვარულის საფუძველზეა აგებული ამ სოფელში ყველაფერი. მოწინავე მწველავ ქალს ანეტა პერტაიას რომ ჰკითხოთ, თავისი კარის მეზობლებიდან რომელს ირჩევს ესტონელ იოგანეს აუნერს თუ ჩალაძეების ოჯახს, ალბათ ვერ გიპასუხებთ. ორივენი მისთვის ერთნაირად საყვარელნი არიან. გაჭირვების დროს მის ოჯახს დახმარების ხელს უწვდიდა ესტონელიცა და ქართველიც, და ახლა, როცა წელში გასწორდა, მომაგრდა, რაიონის მოწინავე მწველავთა რიგებში ჩადგა, მისი მიღწევები თანაბრად ახარებს მეზობლებსაც და მთელ სოფელსაც.

კარგად ახსოვს ვილგემ კნუტს კოლმეურნეობის დაარსების პირველი დღეები. ახსოვს, ფეხშიშველი ბავშვები როგორ დადიოდნენ შორს, სოფლის გადაღმა მდებარე სკოლაში. ახლა სოფელს სკოლაც აქვს და პედაგოგთა ადგილობრივი კადრებიცა ჰყავს.

ყველა, ვინც კი მოისურვა სწავლის გაგრძელება, ეწია კიდეც საწადელს.

კარლ ტიდომ და მარტ კუტმანმა თბილისში მიიღეს განათლება, კოლმეურნეობის აგრონომმა ლიზა სუიცმა — სოხუმში; ზოგიერთებმა — მინსკში, ტარტუში, ტალინში.

მყუდრო და კეთილმოწყობილ ბიბლიოთეკაში ქართულ, ესტონურ და რუსულ ენებზე სთავაზობს მკითხველებს ლიტერატურას ბიბლიოთეკის გამგე ნადარეიშვილი. აქ საკმაო რაოდენობით არის პერიოდული გამოცემებიც. გამოფენილია ახალი მხატვრული ლიტერატურა, ფაქიზად ჩამოწერილია პოლიტიკური წრეების მსმენელთა დასახმარებლად რეკომენდებული ლიტერატურის სია.

სოფლის კლუბში მიმდინარეობს თვითმოქმედი კოლექტივების მეცადინეობა. მაგრამ ცხოვრება წინ მიდის და თანდათან ვიწროვდება ძველი კლუბი, უკვე ვერ იტევს მაყურებელს, ვერ აკმაყოფილებს მის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამიტომაც სოფლის შუაგულში კლუბისა და სხვა კულტურული დაწესებულებების მაღალ და ნათელ შენობას აგებენ ესტონკელები. ალბათ მაშინ არც ამბულატორია იქნება ვიწროდ. თუ მისმა ერთმა ექიმმა და ოთხმა სამედიცინო თანამშრომელმა ამ ვიწროობაში შეძლეს მალარიისათვის მუსრი გაევლოთ სოფელში, კეთილმოწყობილ სამედიცინო სამყოფში უთუოდ შეძლებენ მშობიარობის უხიფათობას, ქირურგიული ჩარევით ადამიანისათვის სიცოცხლის შენარჩუნებას, ბევრი ავადმყოფობის ადგილზევე განკურნებას.

სოფელში ყველა შეძლებულად ცხოვრობს. მათ აქვთ კეთილმოწყობილი ბინები, სასიამოვნოდ მოვლილი საკარმიდამო ნაკვეთები.

— კადნიერებაში არ ჩამოგვართვათ, და სოფელმა კარგად იცის, რომ კომუნიზმი არავის არ ჰპირდება უზრუნველობას და ფუფუნებას, იგი გულისხმობს საზოგადოების საკეთილდღეოდ, დოვლათის შესაქმნელად შეგნებულ შრომას. ესტონკელები თავიანთი თავდადებული შრომით დაამტკიცებენ ამას, — ამბობს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი აფხაზეთის ასსრ დამსახურებული აგრონომი ლევან ვასილის-ძე ქორქია.

დიახ, ხალხის მხნეობამ და თავდადებამ გახადა სოფელი შეძლე და ღონიერი.

**თინა ზარგინავა.**

### შესანიშნავი გამარჯვება

ჭიათურა. ამ დღეებში მოვიდა სასიხარულო დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ მესამე კვარტალისა და მთლიანად ცხრა თვის მუშაობის შედეგებით ჭიათურის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის კოლექტივს მიეკუთვნა პირველი ადგილი რესპუბლიკაში, ჭიათურელ გეოლოგებს მუდმივ შესანახად გადაეცათ აგრეთვე პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავი ვიმპელი.

### მშვიდობის ბურჯი

მშვიდობის ბურჯი არის პარტია,
მის დიდ დროშაზე ბრწყინავს
მშვიდობა.
ჩვენი სამშობლოს ნათელ
განთიადს
ვერ სძლევს სიბნელე, უამინდობა!

პარტია დიდი წყაროა სიბრძნის,
მისი მზე ყველას გულში ანთია.
პარტიის დროშით გმირულად
ვიბრძვით,
კომუნიზმისკენ გვიძღვის პარტია!

მან დაგვაღწია უკუნეთს,
წყვდიადს.
ფიქრები გვექცა აბრეშუმებად,
თუ დასჭირდება პარტიას დიადს,
სიცოცხლე როგორ დაგვეშურება!

დღეს კომუნიზმის ვხედავთ
განთიადს,
უფრო ახლოა, უფრო ბრწყინდება.
ვაშა პარტიას, ვაშა პარტიას,
მისი დიდება არ მოგვწყინდება!

**ალ. გეგაშვილი.**

### შენდება, მშვენდება...



თბილისი. საბინაო მშენებლობა სანაპირო ქუჩაზე.
ნახატი ლადო კაიდარაშვილისა.

# კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისათვის!

(დასასრული)

შირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია, საზღვარგარეთის ქვეყნების პროფკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომას ხსნის მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ა. დიგაი.

ამხ. დიგაი პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სახელით სხდომის მონაწილეებს ულოცავს ოქტომბრის დიად დღესასწაულს.

— დიდი რევოლუციის დაბადების დღეს აღვნიშნავთ წელს განსაკუთრებული ზეიმით, განსაკუთრებული სიხარულით, — ამბობს ამხ. დიგაი. — ეს-ეს არის დამთავრდა კომუნიზმის მშენებელთა დიადი ყრილობა. ისტორია ჩვეულებრივ იწერება წლების, ათეული წლების შემდეგ, რაც მოხდა შესანიშნავი მოვლენები, მხოლოდ დროთა განმავლობაში მათი მნიშვნელობა ნათელი ხდება ყველასათვის. მაგრამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას კაცობრიობამ ისტორიული უწოდა ჯერ კიდევ მის გახსნამდე. იგი ძლევამოსილად დამკვიდრდა ადამიანთა ცხოვრებასა და გულში, როგორც ყრილობა, რომელიც მოწოდებულია ყველა ხალხს გაუნათოს ბედნიერებისა და პროგრესის გზა.

და ეს გზა უაღრესი სიცხადითა და სისრულით, მეცნიერული უტყუარობით დასახულია კომუნიზმის დიად ქარტიაში — ლენინის პარტიის ახალ პროგრამაში, დასახულია ლენინის საქმის ერთგული განმგრძობის — ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მოხსენებებში.

ჩვენი პარტიის ისტორიაში ყველაზე წარმომადგენლობითმა XXII ყრილობამ ცხადყო კომუნისტთა ათმილიონიანი არმიის რიგების მონოლითური ერთობა. დაახლოებით ხუთი ათასმა დელეგატმა, ამბობს, ორატორი, მოიწონა ლენინური კურსი, რომელიც დასახა პარტიის XX ყრილობამ. „ჩვენც ამ კურსს ვუჭერთ მხარს!" — განაცხადეს აგრეთვე ძმობ პარტიების წარმომადგენლებმა, პარტიებისა, რომლებიც თანამედროვეობის მძლავრ ძალას — საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას წარმოადგენენ. ლენინურმა სულისკვეთებამ, ლენინურმა ნორმებმა და პრინციპებმა განუყოფლად გაიმარჯვეს XXII ყრილობის მუშაობაში.

უკუგდებულია ჩვენი პარტიისათვის ყოველივე უცხო, მონატანი. გადაჭრით, სამუდამოდ მოეღო ბოლო პიროვნების კულტსა და მის უკანასკნელ უბადრუკ მიმდევრებს.

მსოფლიოს ყველა პატიოსანი და პროგრესული ადამიანი ტაშს უკრავს XXII ყრილობის შედეგებს, ტაშს უკრავს პარტიის მესამე პროგრამას, რომელიც მარქსისტულ-ლენინური აზროვნების მწვერვალია ჩვენს ეპოქაში. ამ ყრილობის შესახებ შეიქმნება სიმღერები, მას მიეძღვნება მეცნიერთა შრომები და პოეტთა ლექსები; იგი საუკუნეებში იცოცხლებს.

პარტიის ისტორიული ფორუმის დამთავრების რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ ვდღესასწაულობთ ოქტომბრის 44 წლისთავს. მას ჩვენ აღვნიშნავთ დიდებულ სასახლეში, რომელიც მუდამ დაკავშირებული იქნება ჩვენს მეხსიერებაში კომუნიზმის მშენებელთა XXII ყრილობასთან.

კომუნიზმი ყველა ხალხის ხვალინდელი დღეა. ჩვენ ვამაყობთ, რომ საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა პირველი ააგებს ამ შესანიშნავ შენობას, რომელიც აღსავსე იქნება სინათლით, სითბოთი და ბედნიერებით.

ორატორი დაწვრილებით ლაპარაკობს მასების უმაგალითო ენთუზიაზმზე, შთაგონებულ შემოქმედებაზე, მასებისა, რომლებიც აღაფრთოვანა პარტიის XXII ყრილობამ. მოსკოვის ქარხნებისა და ფაბრიკების, მშენებლობებისა და ინსტიტუტების, მთელი რაიონების კოლექტივებმა გადასინჯეს თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი და მიიღეს ახალი, უფრო დიდი ვალდებულებანი. მოსკოველები მთელ ხალხთან ერთად სიტყვას აძლევენ პარტიას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ისინი არ დაიშურებენ არც ძალღონეს, არც შრომას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, რომ ისინი მუდამ იქნებიან ახალი საზოგადოების მშენებელთა პირველ რიგებში.

სიტყვა ეძლევა სკკპ XXII ყრილობის დელეგატს, ქარხანა „მებრძოლის" ხარატს მ. ქ. კრიუჩკოვს.

ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისათვის, ჩვენი სახელოვანი სამშობლოსათვის უდიდესი სიხარულითა და სიამაყით ვეგებებით ყველაზე ნათელ დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის 44 წლისთავს, ამბობს ამხ. კრიუჩკოვი. დღეს ეს დღესასწაული გასხივოსნებულია XXII პარტიული ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, ახალი პროგრამის — ხალხის ბედნიერების პროგრამის ჩაუქრობელი სინათლით.

დღეს, ოქტომბრის 44 წლისთავის წინ, კვლავ და კვლავ მაგონდება ყრილობის მუშაობის ამაღელვებელი დღეები. მე ხომ, უბრალო ხარატს, წილად მხვდა დიდი ბედნიერება — ვყოფილიყავი მისი დელეგატი.

სუნთქვა გეკვრება, როცა უფიქრდები ახალი პროგრამის ყოველ სტრიქონს. XX საუკუნის ეს უდიადესი მანიფესტი დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანის გულს სიხარულითა და იმედით ავსებს. ყოველი მისი დებულება გამსჭვალულია ადამიანისათვის, მისი აწმყოსა და მომავლისათვის ზრუნვით.

მინდა დიდი გულითადი მადლობა გადავუხადო პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მეთაურობით, რომელმაც გამოიჩინა ურყევი ნებისყოფა პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციისათვის და პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური პრინციპებისა და ნორმების აღდგენისათვის ბრძოლაში.

ტრიბუნაზეა მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ბოლშევიკის" მებოსტნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. მ. რეზნიკი. მოსკოვის ოლქის სოფლის მშრომელთა სახელით მან მხურვალედ და გულითადად მიულოცა სხდომის მონაწილეებს დიდი ოქტომბრის დღესასწაული.

მიმდინარე წელს საბჭოთა მეურნეობა „ბოლშევიკის" კოლექტივი, ამბობს ამხ. რეზნიკი, ცხოვრობდა ერთი მისწრაფებით, ერთი სურვილით — გაემართლებინა ის მაღალი შეფასება, რომელიც მისცა ჩვენს მოკრძალებულ შრომას ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა თავის გასული წლის ნოემბრის მილოცვაში. ჩვენთვის, სოფლის მშრომელთათვის, დიდი ყურადღებისა და ზრუნვის პასუხად ჩვენ ვმუშაობდით დაუღალავად და პირნათლად შევასრულეთ სიტყვა, რომელიც მივეცით ჩვენს მშობლიურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს. ამ საზეიმო საღამოზე ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა გაცნობოთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ საბჭოთა მეურნეობამ „ბოლშევიკმა" წარმატებით შეასრულა შვიდწლედის მესამე წლის ვალდებულებანი და უკვე სახელმწიფოს ჩააბარა 50 ათას ტონაზე მეტი ბოსტნეული და ოთხი ათას ტონაზე მეტი კარტოფილი.

ჩვენ ვცხოვრობთ ბედნიერ დროს — წილად გვხდა ვაშენოთ კომუნიზმი ამბობს ორატორი. ჩვენი დღეების სიდიადე განსაკუთრებით იგრძნობოდა სკკპ XXII ყრილობის მუშაობის დროს. ყველანი ჩვენ მღელვარებით ვისმენდით რადიოთი და ვკითხულობდით გაზეთებში ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის შესანიშნავ მოხსენებებს, დელეგატებისა და უცხოელი სტუმრების გამოსვლებს. და ყოველი საბჭოთა ადამიანი სიამაყით ფიქრობდა: რა უზარმაზარი მუშაობა გასწია ლენინურმა პარტიამ XX ყრილობის შემდეგ, რა ჭეშმარიტად ლენინური სულისკვეთებით გამსჭვალულია ყოველი მისი საქმე!

ჩვენი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია გამთიშველთა ჯგუფის ბინძურმა საქციელმა და ზრახვებმა, რომელთა შესახებ ყრილობაზე ილაპარაკეს. სოფლად ამ უბადრუკ გარეწრებს სარეველას უწოდებენ. ხოლო ყანა, როგორც იტყვიან ხოლმე, უნდა გავწმინდოთ სარეველა ბალახისაგან!

მიჯნები, რომლებიც დასახულია XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში, გვისახავენ ჩვენ, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს ახალ, შთამაგონებელ პერსპექტივებს.

კარგია იცხოვრო, ამხანაგებო, ჩვენს შესანიშნავ ქვეყანაში! სასიხარულოა იშრომო, როცა იცი, რომ ყველაზე სამართლიანი საზოგადოების — კომუნიზმის შექმნის მონაწილე ხარ, საზოგადოებისა, რომელიც ამკვიდრებს დედამიწაზე ბედნიერებას ყველა ხალხისათვის!

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა დედაქალაქის მეცნიერთა წარმომადგენელმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ვ. ა. ვენიკოვმა.

ჩვენ, მეცნიერები, ვამაყობთ, რომ ჩვენი ეპოქის კომუნისტურ მანიფესტში — პარტიის პროგრამაში მეცნიერების განვითარება აყვანილია უმნიშვნელოვანეს საერთო სახელმწიფოებრივ ამოცანათა დონეზე. იგი მიჩნეულია საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისა და ბუნების ძალებზე განთავისუფლებული ადამიანის ბატონობის იარაღად.

კომუნიზმი, რომელიც მარქსმა უტოპიიდან მეცნიერებად გადააქცია, თავისი იდეების სინათლით გვინათებს გზას კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ. ამ გზით მიგვიძღვის კომუნისტური პარტია ლენინური ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით. მეცნიერები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი ენთუზიაზმით იბრძვიან იმისათვის, რომ წინასწარდასახულობანი პროგრამისა, რომელიც მიღებულია XXII ყრილობაზე, განხორციელდეს.

სიტყვას ამბობს სკკპ XXII ყრილობის დელეგატი, კალინინის სახელობის ფაბრიკის ოსტატის თანაშემწე ს. ა. კოტოვა.

— სამშობლოსათვის, ხალხისათვის, პარტიისათვის დიდი სიამაყე გამოიწვევს ჩვენში — ყრილობის დელეგატებში წარმატებებმა, რომლებიც მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ, — თქვა ამხ. კოტოვამ. — და თითოეულს ნათლად აქვს შეგნებული: ყველაფერი, რისთვისაც ვამაყობთ, ყველაფერი, რაც მოვიპოვეთ და რასაც კვლავაც მივაღწევთ, — ყველაფერი ეს წარმოშვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის გამარჯვებამდე ჩვენი ქვეყნის მშრომელები მიიყვანა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ დიდი და ბრძენი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მეთაურობით. ლენინი უხილავად ესწრებოდა XXII ყრილობასაც. ჩვენთვის უსაზღვრო ძვირფასისა და საყვარელი ბელადის სახელი ყველას პირზე ეკერა და ყველას გულში ჰქონდა. ლენინური რევოლუციური სულისკვეთებით, ლენინური პრინციპულობითა და სამართლიანობით არის გამსჭვალული ყრილობაზე ყველა გამოსვლა, ყრილობის ყველა გადაწყვეტილება.

კომუნიზმის ეს მძლავრი წინსვლა აშინებთ იმპერიალისტებს, აღნიშნავს შემდეგ ორატორი. მათ სურთ შეაჩერონ იგი და ამისათვის ცეცხლს ეთამაშებიან, გვემუქრებიან ატომური იარაღით. ფუშავენ ჩვენი სახელმწიფოს ყველა მშვიდობისმოყვარე წინადადებას.

ჩვენმა XXII ყრილობამ კიდევ ერთხელ გადაჭრით უთხრა ავანტიურების ყველა მოყვარულს: იცოდეთ, ბატონებო, ჩვენ მშვიდობიანი ადამიანები ვართ, ჩვენ მტკიცედ ვიბრძვით მშვიდობისათვის, მაგრამ თუ შეეცდებით ხელჰყოთ ოქტომბრის მონაპოვარი, ხელი შეგვიშალოთ კომუნიზმის აშენებაში, თქვენ თავს დაგატყდებათ ხალხის სამართლიანი გულისწყრომით გაძლიერებული უმაგალითო სიმძლავრის ცეცხლი.

კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი, ჩვენ მტკიცედ განვაგრძობთ იმ გზას, რომელსაც დასაბამი მისცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. ეს გზა მიგვიყვანს კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე!

მოსკოვის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის დელეგაციის სახელით, რომელიც საზეიმო სხდომაზე მოვიდა, აღფრთოვანებით ლაპარაკობს სრულიად საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ი. დ. მაშინი.

ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება, ვიყოთ ლენინური პარტიის ისტორიული XXII ყრილობის თანამედროვენი, ამბობს იგი. გავლენ წლები, მაგრამ მარადიულად დარჩება ხალხთა მეხსიერებაში XXII ყრილობა. ყრილობა, რომელმაც გამოხატა ხალხის აზრი და ფიქრები. ყრილობა, რომელმაც მიიღო კომუნიზმის აშენების პროგრამა.

ჩვენ, ახალგაზრდები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უსაზღვროდ ბედნიერი ვართ, რადგან ჩვენთვის ზრუნავენ, ჩვენ პარტია გვენდობა!

ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ მაგალითს ვიღებთ კომუნისტთა ბრძოლიდან, შემართებიდან, შემოქმედებიდან, რომ ვაშენებთ ჩვენს ცხოვრებას ლენინურად.

დღეს, ჩვენი მებრძოლი რევოლუციური დღესასწაულის წინ, ერთხელ კიდევ ვდებთ ფიცს, რომ ერთგული ვიქნებით დიადი ანდერძისა, რომელიც დაგვიტოვეს რევოლუციონერთა თაობებმა, მშობლიური კომუნისტური პარტიის დიადი იდეებისა.

ბევრი რამის გაკეთება მოგვიხდება, მაგრამ მოსკოვის კომკავშირს არასოდეს არ უძებნია იოლი გზები. იგი მიდიოდა, მიდის და კვლავაც ივლის პარტიის, ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

მოსკოვის მთელი ახალგაზრდობა ერთსულოვნად, სულით და გულით, მთელი თავისი არსებით ამბობს: მთელი მგზნებარება, ჩვენი ენერგია და ნებისყოფა — შენ პარტიავ!

დიდი, უსაზღვრო მადლობა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და ჩვენს ძვირფას ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს — ყველაზე ბედნიერს, ყველაზე მშვენიერს მსოფლიოში!

დიდება შენ, — კომუნისტთა დიადო პარტიავ — ლენინის პარტიავ, ნოვატორთა და შემოქმედთა პარტიავ, რომ მიგვიძღვი კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

უდიდესი აღფრთოვანებით, ხანგრძლივი ტაშის გრიალში საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

* * *

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების ოსტატებმა და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი საწინდარი

კ. ლორთქიფანიძე.

ჭეშმარიტად ისტორიულ დღეებში ვზეიმობთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეოთხე წლისთავს. ამ სასიქადულო დღესასწაულს აღტაცებული ეგებება არა მარტო საბჭოთა ხალხი, არამედ მთელი მოწინავე კაცობრიობა, ყველა პატიოსანი და მშვიდობისმოყვარე ადამიანი.

ეს აღტაცება აღძრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ყრილობამ, რომელმაც თვალწინ გადაგვიშალა ნათელი მომავლის — კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ წაღმა შემოაბრუნა ისტორიის ჩარხი — ძირფესვიანად შეცვალა დამონებული ხალხების ცხოვრება მთელ ქვეყანაზე, ჩვენი დიდი სამშობლო კი გადააქცია უძლიერეს სოციალისტურ სახელმწიფოდ — ახალი, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მშენებელ სახელმწიფოდ. ამ რევოლუციას სული ჩაუდგა ლენინის ძლევამოსილმა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე წინ უძღოდა ხალხს ბრძოლისა და შრომის ყველა უბანზე და ისტორიულად უმოკლეს ვადაში უზრუნველყო სოციალიზმის სრული გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში. დღეს მისი უძლეველი დროშა კვლავ წინ მიგვიძღვის კომუნიზმისაკენ.

თუ რა შეუძლია თავისუფალი ხალხის შემოქმედებას, ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს დედამიწის პირველი ჩვენი თანამგზავრები, ჩვენი ვაჟკაცი კოსმონავტები, რომლებმაც ადამიანს გაუკაფეს გზა შორეული ვარსკვლავების სამყაროში, სწორედ ისევე, როგორც ორმოცდაოთხი წლის წინათ „ავრორას“ ზარბაზნებმა მთელ კაცობრიობას გზა გაუკაფეს თავისუფლებისაკენ.

და აი დღეს, როდესაც მთელი გულისყურით ვკითხულობთ კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამას — ჩვენი დროის უდიდეს ეპოპეას, გული სიამაყით გვევსება. მეტად დიდია, განუზომელია პარტიის ოცდამეორე ყრილობის მნიშვნელობა თვითეული ჩვენგანის ცხოვრებაში. კომუნიზმის მშენებელთა ყრილობამ, ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენებებმა, ახალმა პროგრამამ ჩვენი სულიერი სამყარო ახალი შინაარსით გაამდიდრა, ჩვენს გონებას დიდი სარბიელი მისცა.

პროგრამის ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია ადამიანისადმი დიდი ნდობით, სიყვარულით, პატივისცემით. ჩვენი თაობა ნამდვილად ბედნიერია, რომ ცხოვრობს იმ საზოგადოებაში, იმ დროში, როდესაც ხორცს ესხმება კაცთმოყვარეობის უმაღლეს იდეალს — „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

ეს დიდი, ყოვლის მომცველი ჰუმანიზმი ბევრ რამეს გვავალებს ჩვენ, საბჭოთა მწერლებს. უპირველეს ყოვლისა, ვიდგეთ ცხოვრების შუაგულში, ვიდგეთ იქ, სადაც ახალ ნერგს პირველი კვირტი გამოაქვს, რადგან გარედან მაცქერალს არასოდეს, არცერთ საუკუნეში არ შეუქმნია ხალხის საყვარელი წიგნი, გულგრილობას არასოდეს არ უთქვამს დიდი სიმღერა.

შოთას, ილიას, აკაკისა და ვაჟას ფესვებზე ამონაყარი მწერლობა, რომელსაც კარგი და გულისხმიერი მკითხველი ჰყავს როგორც საქართველოში, ისე საქართველოს გარეთაც, ნაბიჯს შეუწყობს საყვარელ პარტიას და მის შთაგონებულ სიტყვას დამაჯერებლად მიიტანს ქართველი ხალხის გულამდე, მეტადრე ახლა, როდესაც ამ გულთან მისასვლელი გზა გაგვიფართოვა ისტორიულმა ყრილობამ.

განა შეუძლია ქართველ მწერალს აუღელვებლად წაიკითხოს პროგრამის ის ადგილი, სადაც პარტია საქვეყნოდ აცხადებს — უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ენების თავისუფალი განვითარება, არ დაუშვას არავითარი პრივილეგიები, შეზღუდვა ან იძულება ამა თუ იმ ენის ხმარებაში. სწორედ ეს არის დიდი საწინდარი ჩვენი მწერლობის, ჩვენი ეროვნული კულტურის მომავალი აყვავებისა და ზრდისა.

ქართული მწერლობა, მთელი ქართველი ხალხი თავისი დიდი პატიოსნებით, თავისი გამჭრიახი გონებით, დაუღალავი მარჯვენით, თავისი უღალატო გულით მუდამ იდგა და იდგება იმ დროშის ქვეშ, რომელიც ორმოცდაოთხი წლის წინათ დაგვილოცა დიდმა ლენინმა.

დიდება დიდ ოქტომბერს, რომელმაც დაიწყო ახალი ხანა კაცობრიობის ისტორიაში.

გაუმარჯოს კომუნიზმს, რომელიც ახორციელებს ადამიანის უწმინდეს ოცნებას და დედამიწაზე ამკვიდრებს მშვიდობას, ძმობას, თანასწორობას.



ნორჩი ლენინელები. ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

# „მანქანების პროფესორი“



ზაურ ქადაგიშვილს, მალაროელ ტრაქტორისტ ბიჭს, ასე ძლიერ ჯერ არ გახარებია... ხუმრობა ხომ არ იყო! დღეს ის ამხანაგების წინაშე შეაქეს, შეაქეს დამსახურებულადაც. და მერე ვინ? სოფლის საყვარელმა კაცმა „მანქანების პროფესორმა“, მექანიზატორთა ბრიგადირმა.

სხვა დროსაც ხომ აქებდნენ! თვითონ ბრიგადირსაც არაერთხელ უთქვამს მისთვის — შენგან კარგი მექანიზატორი დადგებაო, მაგრამ ახლა ასე რატომ გაეხარდა?

— არა, დღეს მან სულ სხვანაირად მითხრა: ზაურ, მე შენ მასახელეო! — ჩურჩულით იმეორებდა კმაყოფილი მექანიზატორი სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის ივანე ვასილის-ძე ბაიდოშვილის სიტყვებს.

— და მერე იცით, რად ღირს ეს სიტყვები?..

ახალგაზრდა ტრაქტორისტს შარშანდელი შემთხვევა გაახსენდა და გაეღიმა:

— არა, ძალიან კი შევრცხვი მაშინ. პირდაპირ სასაცილო ვიყავი. ტარტი სახეზეც კი მქონდა მოცხებული, ოფლში ვიწურებოდი, მერამდენედ შევძვერი ტრაქტორის ქვეშ და დაზიანებული ნაწილი მაინც ვერ ვიპოვნე. ბრიგადირმა დროზე მომისწრო და მაჩვენა დაზიანებული კბილანა. საოცარი კაცია, მასავით რომ ვიცოდეთ საქმე!..

პარტიის XXII ყრილობის დელეგატს ივანე ბაიდოშვილს კოლმეურნეობის სახელოსნოში შევხვდით. მაღალ-მაღალი კაცია ივანე, შავგვრემანი, განიერი მხრები აქვს და ღონიერი მკლავები. ის-ის იყო ტრაქტორის დაზიანებული ნაწილი შეაკეთებინა და მინდორში წასვლას იჩქაროდა.

— კარგია რომ გვესტუმრეთ, — გვითხრა მან, — იქნება გაინტერესებთ, როგორ ვთესავთ მინდვრად? ახლა გახურებული მუშაობა გვაქვს. 1500 ჰექტარ ფართობზე ხორბალი და ქერი უნდა დავთესოთ. აი ამ ორ-სამ დღეში მოსკოვში, ყრილობაზე მივდივარ და მინდა, რომ სამუშაოები ძირითადად წასვლამდე მოვათავოთ...

— ეს კი ივანე მარკუშინის ტრაქტორისაა, — ხელში შეაქანავა რაღაც მძიმე ნაწილი, — ბარბაცას მილისი გატყდა და თან მიგვაქვს, რომ ტრაქტორს დავუყენოთ. ახლა ყოველი წუთი ძვირფასია...

მინდვრად მისასვლელი გზები სველია, ატალახებული, თვითონ მინდორი კი მშრალი. ზედაპირი ისეა თითქოს აქ წვეთი წვიმაც კი არ ჩამოვარდნილაო...

— რატომ არის მიწა ასე მშრალი, — შევეკითხეთ ბრიგადირს — გუშინწინ ხომ წვიმდა?

— მთელი წლის გვალვისაგან დახეთქილ მიწას ის ათიოდე ცვარი რას უზამდა, ისე შეისრუტა, როგორც ბოდბელმა მასიმამ იცოდა. პირველ სადღეგრძელოს რომ გადაჰკრავდა ხოლმე.

კი მაგრამ ვინ იყო ის ბოდბელი მასიმა? — ძლივს ვიკავებდით სიცილს.

— ვინა და, მე მასთან მოჯამაგირედ ვიყავი. ამას წინათ სოფლის შარაგზაზე შემხვდა, გავახსენე: ისე უმოწყალოდ რატომ მცემდი მეთქი?

— ნუთუ შენ?

— მაშინ პატარა ვიყავი 13 თუ 14 წლისა. ჯერ ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში ვინმე კაპანაძესთან ვიყავი მოჯამაგირედ, შემდეგ კი აქვე, მეზობელ სოფელში — ბოდბეში...

— მერე, მერე, რა გითხრა მასიმამ? — დაგვაინტერესა ივანეს წარსულმა.

— ალბათ „თარსი“ იყავი და იმიტომ გცემდიო. რა ვიცი, ყველა მოჯამაგირე „თარსი“ როგორ იყო. ვინც კი მაშინ შემხვდებოდა, ჩემი ტოლი ყველა მეუბნებოდა — „ხაზეინი“ გვცემსო.

— ერთხელ კალოობის დროს, — განაგრძობს ივანე, — წყალზე გამაგზავნა. რა მექნა, ბევრი ხალხი იყო და ვუცდიდი, სანამ რიგი მომიწევდა. ერთხანს უცდია და რომ არ გამოვჩნდი, გაბრაზებულა, სირბილით მოქანდა წყალთან, სოფლის ქალები განზე მიყარ-მოყარა, კოკები გაავსო, ხოლო მე ფეხი ისე გამკრა, რომ თითქმის ოთხ მეტრზე გამისროლა...

ერთხანს ყველანი ფიქრებმა გაგვიტაცა... როგორა ჰგავს ამ წარჩინებული ადამიანის, რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორის ცხოვრება ბევრი მოწინავე საბჭოთა ადამიანის ცხოვრებას, რომლებიც, წარსულში დაბეჩავებულნი, დღეს ასე ამაღლდნენ, ასე გაიზარდნენ...

ივანე ბაიდოშვილის ნამდვილი ცხოვრება მაშინ დაიწყო, როცა სოფელში პირველად კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. გურჯაანის ავტოსატრაქტორო კურსების დამთავრების შემდეგ ჯერ ტრაქტორისტად იმუშავა, ხოლო სულ მალე თავი გამოიჩინა და ულიანოვკის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადას ჩაუყენეს სათავეში.

დიდი სამამულო ომის მძიმე წლები... ვინ მოსთვლის რამდენჯერ რისხვით დაუქუხნია უმცროსი სერჟანტის ივანე ბაიდოშვილის ქვემეხს, რამდენჯერ მიუღია მთავრობის ჯილდო და სარდლობის მადლობა მდინარე ოდერსა თუ ვისლაზე ბრძოლების დროს.

ომი დამთავრდა, და კვლავ მშობლიური სოფელი, მშობლიური საქმე...

— ვანოსთანა კაცი სოფლის იმედია, — ამბობენ მალაროელები. და განა მარტო მალაროელები?

ივანე პირველი კაცია სიღნაღის რაიონში, რომელმაც ყველაზე ადრე დანერგა კვადრატულ-ბუდობრივი თესვა და ნათესების დამუშავების კომპლექსური მექანიზაცია.

ჯერ იყო და სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანა გადააკეთა. ძველ სათესს საზომი მავთულის გადასაადგილებლად 8-9 კაცი სჭირდებოდა. წარჩინებულმა მექანიზატორმა იფიქრა და ისე მოაწყო სათესზე სამი ღარიანი ბორბალი, რომ ახლა საქმეს ერთი კაციც ყოფნის.

აი წელს კი რაიონის მექანიზატორები მან მთლად გააკვირვა. „სტალინეც-6“ მარკის კომბაინი სილოსის ასალებ კომბაინად გადააკეთა. რა უპირატესობა აქვს ამ კომბაინს?

აი დაიძრა მანქანა... იჭრება ორჯერ მეტი მასა, ვიდრე უწინდელი კომბაინით, დანაკარგები თითქმის არ არის. მასა იჭრება ძირში, ხოლო შემდეგ ხევის ტრანსპორტიორიდან პირდაპირ გადაეცემა ნამჯის ტრანსპორტიორს. კომბაინის უკანა მხარეს მიდგმულია შემგროვებელი, რომელიც ერთ ავტომანქანას მთლიანად ავსებს. მანქანები კვლებში აღარ მისდევენ კომბაინს, როგორც ეს წინათ იყო. 7-8 მანქანის ნაცვლად მას ახლა ორი ავტომანქანაც ყოფნის.

— დაგეხმარებით, თქვენც გააკეთეთ, — ასე მიმართა ივანე ბაიდოშვილმა სხვა მექანიზატორებსაც. და აი ბოდბის ორჯონიკიძისა და კალინინის სახელობის, ულიანოვკის, ნუკრიანის კოლმეურნეობებშიც გაჩნდა უკვე „ბაიდოშვილის კომბაინები“.

მწყობრად გუგუნებენ ტრაქტორები და შავად გადახნულ მიწაზე საოცარი სიზუსტით მიაქვთ სათესი მანქანები. რკინის მოლაპლაპე თეფშები აფხვიერებენ მიწას, ხოლო ჩამთესი მილებიდან ნიადაგში რიტმულად ცვივა შინდისსიმსხო ხორბლის მარცვლები. ტრაქტორების საჭეებს ივანე ბაიდოშვილის ბრიგადის მექანიზატორები უსხედან...

ტრაქტორისტმა ი. მარკუშინმა ტრაქტორს შეკეთებული „ბარბაცა“ მოარგო და აი კვლავ ისმენს თავისი ბრიგადირის დარიგებას:

— ფრთხილად იყავი, მოშვებული ხრახნი არ ჩაგივარდეს, არაფერი გაგიტეხოს!

შემდეგ მეორე ტრაქტორისაკენ გასწია. გუგუნის ხმა არ მოეწონა.

— მერაბ, გააჩერე შენი ტრაქტორი, მილისს თითი ექნება დაზიანებული!

მერაბ ბაიდოშვილმა ბრიგადირს გაკვირვებით შეხედა, ტრაქტორი გააჩერა და ძირს გადმოხტა.

— აბა, ერთი, ვეფხო, ბარბაცას მილისი მოვხსნათ.

ტრაქტორისტმა ჯერ დაზიანებული ნაწილი შეათვალიერა, მერე მორცხვად თავის ბრიგადირს შეხედა. შეწუხდა, ამას მე თვითონ რატომ ვერ მივხვდიო.

— იცი თუ არა, მერაბ, — წყენით მიუგო ბრიგადირმა, მუშაობაში ეს პატარა რკინის თითი რომ გატეხოდა, ტრაქტორის სხვა ნაწილებსაც დააზიანებდა.

ივანე ბაიდოშვილს „მანქანების პროფესორს“ ეძახიან რაიონში.

მოსკოვში, ყრილობების სასახლის დიდ დარბაზში სხვა დელეგატებთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი ივანე ბაიდოშვილიც იყო. იგი პარტიის ყრილობაზე წავიდა პირნათელი, და დაბრუნდა იქიდან იმ დიადი მიზნის უფრო ღრმა შეგნებით, რომ საჭიროა ცხოვრობდე და შრომობდე ხალხისათვის, სამშობლოსათვის, იყო კომუნიზმის აქტიური მშენებელი.

ალ. ზურაშვილი.

ჭეშმარიტად უმაგალითო გაქანება მიეცა საბჭოთა კავშირში საბინაო მშენებლობას. უნებლიეთ გინდა თქვა: ჩვენი სიმბოლო გახდა სამშენებლო ამწე.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

# კომუნიზმის [illegible]



რუსთავს არა აქვს თავისი გერბი. ამ „ვოლგის“ გამომშვებ ქალაქს კი, „ვოლგისა“, რომელიც ახლა ნარიყალიდან რუსთავში მიმაქროლებს, აქვს თავისი გერბი: ირემი, გაფრენილი ირემი... რამდენჯერ მინახავს იგი „ვოლგაზე“, სანამ გორკში არ მითხრეს — ეს ჩვენი ქალაქის გერბიაო, მანამდე იგი ავტოკონსტრუქტორების ფანტაზია მეგონა.

რუსთავს კი არა აქვს თავისი გერბი...

მე რომ მხატვარი ვიყო და რუსთავის საქალაქო საბჭოს დავალება მქონდეს, დავხატავდი რუსთავის გერბს: ქარხნის ვეება მილების გვერდით გამოვსახავდი კოშკურა ამწეს...

რუსთავში კოშკურა ამწეებს „კომუნიზმის ხელებს“ ეძახიან.

მერე რა ღონიერი არიან და რა დაუღალავად შრომობენ ეგ დალოცვილი რკინის ხელები!

რუსთავი.

ქვაფენილზე ბავშვი თამაშობს. მომართავს სამი-ოთხი „აგურით“ დატვირთულ სათამაშო ავტომანქანას და ასეთივე სათამაშო კოშკურა ამწეთი „აგებს“ სახლებს.

— რას აკეთებ, ბიჭიკო?

— სახლებს ვაშენებ.

— ეს მანქანები შენია?

— ეგ მანქანებიც, ეგ კოშკურა ამწეც ჩემია.

— ალბათ მშენებელი გინდა გახდე?

— მე ინჟინერი ვიქნები.

— სახელი რა გქვია?

— შოთა.

— სადაური ხარ?

— რა თქმა უნდა, რუსთაველი.

გამეღიმა.

მამულს ინჟინერი შოთა რუსთაველიც სჭირდება.

მივდივარ იქით, სადაც კოშკურა ამწეების ყველაზე ხშირი ტყეა. აქ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მეტალურგიული ქარხნის გვერდით „დიდი ქიმია“ სახლდება.

„დიდი ქიმია“ პატარა ქუჩაში ვერ გაეტევა — ქუჩა ფართოვდება. „დიდი ქიმია“ პატარა სახლში ვერ ჩასახლდება — გიგანტს აგებენ. გიგანტი კაპროლაქტამის ქარხანაა.

— კაპროლაქტამი ხელოვნური ბოჭკოს მისაღებად საჭირო ნედლეულია, — მიხსნის ინჟინერი რამაზ ოყროშიძე, — კაპროლაქტამის ქარხნის მარტო მთავარ კორპუსი 11 ჰექტარს დაიკავებს — სიამაყით უმატებს რამაზი.

კოშკურა ამწეებს წეროებივით დაგრძელებიათ კისრები და ხუთტონიან ტვირთს ათამაშებენ.

— შალიკო, ჰაუ, შალიკო, — უძახის ამწეზე მომუშავე ვაჟკაცს ბრიგადირი,— დაასვენე მაგ შენი დევი, შესვენების დროა. შალიკო იაკობაშვილი კახელი კაცია. კოლმეურნე იყო ადრე, ახლა კი მევენახე გლეხი რუსთავში „დიდ ქიმიას“ აშენებს. ხუთტონიან რკინაბეტონის ბლოკებს პატარა კენჭივით ატრიალებს, საფუძველს უყრის კაპროლაქტამის ქარხანას.

ქარხანა ამ წლის ბოლოს ამუშავდებაო. ასე გვითხრა საშუალო ტანის კაცმა, მკერდზე ოქროს ვარსკვლავი რომ ულავდა.

იგი ქარხნის მშენებელთა თავკაცია. კირილე უკლება. ოდერზე იმიტომ ანგრევდა ფაშიზმის ბუდეს, რომ მტკვრის პირას ქარხნები ეშენებინა.

კირილემ ოდერიდან ჩამოიტანა მუზარადი, იმ მუზარადში ახლა დაკრუხებული მტრედები სხედან ახალ ბინაში.

სამგორის ქარი არხევს წითელ ალმებს რუსთავის კოშკურა ამწეებზე...

ხელოვნური ბოჭკოს ქარხანაც აქვე შენდება. მშენებლობის ირგვლივ, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ, მომრავლებულან კოშკურები.

გურული გლეხი იყო წინათ ვახტანგ მაღულარია. დღეს რუსთავში მოწინავე მუშაა. მუხლუხიანი ამწეს გოლიათივით დააბარბაცებს ხელოვნურ ბოჭკოს ქარხნის მშენებლობაზე.

მტკვარს გაღმა გავედით.

აქაც კოშკურა ამწეთა ტყეა. მარჯვენა სანაპიროზე შენდება მეფოლადეთა საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბავშვო ბაგები და ბაღები.

კოშკურა ამწე ისე მაღალია, იფიქრებ, ღრუბლის ფთილები ზედ წამოეცმევაო, ამ ამწეზე ქართველი გოგონა მუშაობს. მას ლამარას ეძახიან, გამსახურდიაა გვარად. აბაშიდან რუსთავს ჩამოსულა ცხრა ძმის და.

ლამარა საბავშვო ბაგებსა და ბაღებს აშენებს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

— ერთი ქორწილი და მაგ ბაგაში შესაყვანი შვილები, ლამარა?! — ეხუმრება ვიღაც.

ლამარა პატარა ხელებით ატრიალებს უშველებელ კოშკურა ამწეს, და მაღლდება სართულები...

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დავტოვე დღევანდელი რუსთავი. და მივადექი ხვალინდელ რუსთავს.

რუსთავის ხვალინდელი დღე ქალაქის მთავარი არქიტექტორის შოთა ბალაშვილის ოთახიდანაც კარგად ჩანს.

აი 1970 წლის რუსთავი. ათი წლის შემდეგ კომუნიზმის კარიბჭესთან მდგარი რუსთავი ორჯერ მეტი იქნება დღევანდელზე.. მტკვრის ორივე ნაპირებზე კოშკურა ამწეები... ამწეები... ამწეები...

რამდენი ახალი ქუჩა, უბანი, ქარხანა.. ბოლავენ ქარხნის მილები. თუჯისა და ფოლადის სასხმელი ახალი ქარხანა.

კაპროლაქტამისა და სინთეზური ბოჭკოს ქარხნები, ახალი სკოლები, სახლები...

მინერალური ბამბის ქარხანა, თაბაშირის და მისი ნაწარმის ქარხანა...

სახლთმშენებელი ქარხანა...

ისევ სკოლები, ისევ საბავშვო ბაღები, მოედნები...

რუსთავი— გიგანტური ქარხნების კომპლექსი... კოშკურა ამწეთა ტყე.

რუსთავი 1980 წელს. დააბიჯებენ ბედნიერი მოქალაქენი. ბეტონის, რკინისა და სარკის ქალაქი, შუქითა და ჰაეროვნებით, სავსე. კომუნიზმის ბრწყინვალე მზე დაჰკამკამებს ქალაქს. ვფურცლავ ქალაქის მატიანეს... რუსთავის მშენებელთა შორის ვკითხულობ ნაცნობ გვარებს: მაღულარია, იაკობაშვილი, გამსახურდია...

რუსთავი მოაბიჯებს თბილისისაკენ. ამბობენ: მთა მთას ვერ შეხვდება, თორემ ქალაქი ქალაქს ყოველთვისო...

• • •

„ვოლგა“ ისევ მიჰქრის ნარიყალასაკენ.

პროჟექტორების შუქზე კოშკურა ამწეთა ტყეა. ამწეთა ათას შუქურას შორის ანთია ლეილას, ვახტანგის, შალვას კოშკურა ამწეთა შუქურებიც... ნარიყალიდან აღგილისდედა ღვინით სავსე თასს უწვდის რუსთავს, მზეჭაბუკ ქალაქს...

მხატვარი რომ ვიყო, დავხატავდი რუსთავის გერბს და გერბზე გამოვსახავდი კოშკურა ამწეს — მშვიდობიანი ქალაქის სიმბოლოს.

ვლ. ალფენიძე.

• • •



სურათზე: კოშკურა ამწე — მშვიდობიანი ქალაქის სიმბოლო.

ფოტოეტიუდი ბ. დადვაძისა.

# შენდება, მშვენდება...



თბილისი. საბინაო მშენებლობა საბურთალოზე.

ნახატი ლადო კაიდარაშვილისა.

# ლენინი ჩემს ქალაქში

შენ გაჩნდი, დადგა მზე ზეცის
ქიმზე,
მას მერე გაჩნდა მზე და აპრილი.
აქ ჩემს ქალაქში შენ როცა გიმზერ,
უცებ ვჩერდები მე თავდახრილი.

მგონია, კვარცხლბეკს ტოვებ და
ლხენით
აი იმ კიბით ჩადიხარ ქვემოთ,
და ქუდმოხდილი მე ვდგავარ,
ლენინ,
მე შენს წინ ვდგავარ, ბელადო
ჩვენო!

საბჭოების სახლს გვინათებ,
გვითბობ,
გხედავ და გრძნობა მრჩება ასეთი:
აღლუმზე სიტყვას ამბობდე
თითქოს,
თვალმიპყრობილი
აღმოსავლეთით...

და თითქოს ხედავ, მწვანე ნაძვები,
შენი სიბრძნით და სუნთქვით
გამთბარნი,
როგორ დასცქერენ გულგატაცებით,
წითელ მოედანს
ზაფხულ-ზამთარი.

მე ჩემს ქალაქში გხედავ და
გიმზერ,
გიცქერ და შენს წინ ვარ
თავდახრილი.
შენ გაჩნდი, როგორც მზე ზეცის
ქიმზე
და შენთან ერთად გაჩნდა აპრილი.

რევაზ ასაევი.

# ზღვის პირას დგას ხარაჩოები

დღითიდღე იზრდება, შენდება და მშვენდება ქალაქი-ბაღი, ქალაქი-კურორტი, ქალაქი-ნავსადგური — ბათუმი.

ამდენი ხარაჩო ბათუმელებს ჯერ არ ახსოვთ. უკანასკნელ წლებში აქ შეიქმნა ახალი ელექტროტექნიკური ქარხნები, რომლებიც ქვეყანას აძლევენ დიდძალ ელექტროფარებს, ავტოტრანსფორმატორებს, ვენტილატორებს, სარეცხ მანქანებს.

აშენდა შვიდწლედის პირმშო — სახლმშენებელი ქარხანა, მუსიკალური სასწავლებლის, სკოლა-ინტერნატის, ინფექციური საავადმყოფოს შენობები; სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ნავსადგურისა და ბავშვთა საავადმყოფოს მშენებლობა, რესპუბლიკური საავადმყოფოს რეკონსტრუქცია.

ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა. ქალაქში აშენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სადაც ორი ათასზე მეტმა ბათუმელმა მიიღო ახალი კეთილმოწყობილი ბინები.

ბათუმში ქართველებთან ერთად ბედნიერად ცხოვრობენ და შრომობენ რუსები და უკრაინელები, სომხები და ბელორუსები, ჩინელები და ესპანელები, ბულგარელები და კორეელები, პოლონელები, თათრები, უზბეკები, ბაშკირები და აზერბაიჯანელები... ოცდაათზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აშენებს კომუნიზმის დიად შენობას; დღისა და ღამის გასაყართან, ორი სამყაროს მიჯნაზე ამაყად მდგომი და შუქურვარსკვლავივით განათებული ქალაქის, მარად მწვანე ბათუმის მკვიდრთა თავდადებული შრომის მიზანია, რომ იმრავლოს ხარაჩოებმა, რომ ახალი, მრავალსართულიანი სახლები ქათქათებდნენ შავი ზღვის ლაჟვარდისფერ ფონზე, რომ ჩვენი ქალაქი გადაიქცეს კომუნისტური შრომისა და ცხოვრების ქალაქად, რომ ქვეყნად იყოს მშვიდობა...

რ. ბორბაძე,
(საკ. კორ.).

# ლირიკული საუბარი

გერმანე ტიტოვს

შენ იქ აფრინდი, ცის სამყაროში
მე რომ ოცნებით ბევრჯერ დავყავი.
წუხელ მესიზმრა:
ერთად გამოჩნდით
შენ და ის ჩემი ბედის ვარსკვლავი.

მას საიდუმლო ბევრჯერ გავანდე.
ახლა რატომღაც ვარ გამიჯნული,
ვაი თუ ჩემთვის აღარ ანათებს
მივიწყებული ჩემი მიჯნური.

ციდან არ მეძებს,
არ მითვალთვალებს
ოდესღაც ჩემი ფიქრის დარაჯი,
არ ეჭიდრება მბრწყინავ ვარსკვლავებს
რომ შემოფრინდეს ჩემს ფანჯარაში.

ხომ არ გინახავს ავლილ-ჩავლილი
ჩემზე გამწყრალი ბედის ვარსკვლავი,
განათებული ნატვრის თვალივით,
ალმოდებული მისი ნაწნავი.

თუ მართლა ნახე,
რა დაგაბარა?
მე როგორ გავხსნა ზეცის კარედი!..
ეს რომ მცოდნოდა, როგორც ამხანაგს
მოკითხვას მაინც დაგაბარებდი.

მე რომ მქონოდა ამის იღბალი,
ძმაო, გმირთ-გმირო და ამაგდარო,
არ დამრჩებოდა მოუხილავი
ბედის ვარსკვლავიც, მთელი სამყაროც.

მე ასე მჯერა, ალბათ ნახავდი,
არაფერია გასაკვირველი:
იქ შეგხვდა ნაზი მზეთუნახავი —
ჩემი უმანკო ტრფობა პირველი.

ახლა შენს მერე... დავალ მთაბარად
და მაინც შენებრ ზეცა მიტაცებს.
თუ ძმა ხარ, ერთს გთხოვ, რაც
დაგაბარა,
ნურავის ეტყვი დედამიწაზე.

რევაზ მარგიანი.

# საერთაშორისო ცხოვრება

მოვლენები, ცნობები, მიმოხილვა

# იწერება ახალი ისტორია

## საოქტომბრო დღესასწაული უცხოეთში

**კოპენჰაგენი,** 5 ნოემბერი (საკდესი). მთელ დანიაში ამ ქვეყნის კომუნისტური პარტია აწყობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებებს. გუშინ გაიმართა დანიის დედაქალაქის კომუნისტების საზეიმო კრება, რომელზეც ვრცელი სიტყვა წარმოთქვა დანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ კნუდ ესპერსენმა.

ჩვენს ეპოქაში, განაცხადა ორატორმა, იწერება ახალი მსოფლიო ისტორია. დღეს, დედამიწის მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტი წინ მიდის სოციალიზმის დროშით. თავისუფლება მოიპოვეს ახალმა სახელმწიფოებმა. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ სოციალიზმმა გაიმარჯვა 1917 წელს, ახლა მსოფლიოს გადასვლა სოციალიზმში არათუ შესაძლებელია, არამედ ერთადერთი გზაა.

**ვარშავა,** 5 ნოემბერი (საკდესი). სკკპ XXII ყრილობის — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის გადაწყვეტილებათა საყოველთაო მოწონების ნიშნით, პოლონელი და საბჭოთა ხალხების მტკიცე მეგობრობისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთობის ატმოსფეროში აღნიშნავენ პოლონელი მშრომელნი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44-ე წლისთავს. სადღესასწაულოდ მოირთო პოლონეთის ქალაქები და სოფლები. ყველგან მოჩანს კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ვ. გომულკას პორტრეტები, ტრანსპარანტები საბჭოთა მშრომელებისადმი მისალმების გულითადი სიტყვებით. შენობათა ფრონტონებზეა კოსმოსის მოიერიშე საბჭოთა რაკეტების მაკეტები. ფოტოვიტრინები და გამოფენები მოგვითხრობენ სსრ კავშირის უდიდეს მიღწევებზე ცხოვრების ყველა დარგში.

სამრეწველო საწარმოებსა და დაწესებულებებში, ქალაქებსა და სოფლებში იმართება ოქტომბრის დღესასწაულისადმი მიძღვნილი მრავალათასიანი საზეიმო კრებები და საღამოები. პოლონეთის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები აჯამებენ დიდი ოქტომბრის 44 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს. პოლონელი მუშები ამ დღესასწაულისათვის გადაჭარბებით ასრულებენ საგეგმო დავალებებს.

ოქტომბრის 44 წლისთავის წინ პოლონეთში ეწყობა ათასობით ლექცია, მოხსენება, საუბარი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის როლისა და მნიშვნელობის შესახებ, საერთაშორისო მუშათა მოძრაობაზე მისი გავლენის, სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებული ისტორიული დოკუმენტების შესახებ, საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის შესახებ. ლენინის მუზეუმმა ვარშავაში მოაწყო ორი ახალი ექსპოზიცია: „გზა სკკპ პროგრამისაკენ", „ლენინური გზით".

განსაკუთრებით საზეიმო ვითარება იყო დღეს პორონინოში, სადაც ლენინის მუზეუმია. აქ ილიჩის ძეგლთან გაიმართა დიდი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კრაკოვის სავოევოდოს მცხოვრებლებმა, აგრეთვე ვარშაველმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, რომლებიც პორონინოში ჩავიდნენ „ახალგაზრდობის ლენინური მატარებლით".

**ტელ-ავივი,** 5 ნოემბერი (საკდესი). ისრაელის საზოგადოებრიობა აღნიშნავს დიდი ოქტომბრის 44 წლისთავს. ტელ-ავივში კინოთეატრ „პოდის" ხალხით გაჭედილ დარბაზში გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. მოხსენება გააკეთა კნესეტის დეპუტატმა კომუნისტური პარტიისაგან მოშე სნემ. დამსწრენი მრავალგზისი ხანგრძლივი ოვაციით მიესალმნენ საბჭოთა კავშირს და დიდებულ პროგრამას, რომელიც მიიღო სკკპ XXII ყრილობამ.

დიდი ოქტომბრისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები იმართება ისრაელის ბევრ ქალაქში — იერუსალიმში, ხაიფაში, აკოში, ნატანსა და სხვა ქალაქებში.

**ბუქარესტი,** 5 ნოემბერი (საკდესი). რუმინელი მშრომელები ოქტომბრის 44 წლისთავს ხვდებიან შრომითი წარმატებებით, საწარმოო გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებით. შრომაში მიღწეული დიდი წარმატებებით ეგებებიან საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს რუმინელი მენავთობეები, მეტალურგები, მეშახტეები, ავტომობილმშენებლები, ქიმიურ და მანქანათსაშენებელ საწარმოთა კოლექტივები და ბევრი სხვა შრომითი კოლექტივი.

ბუქარესტის დღევანდელმა გაზეთებმა მოწინავე და სარედაქციო სტატიები მიუძღვნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44 წლისთავს.

დიდი ოქტომბრის გავლენით რევოლუციური ბრძოლების ცეცხლში, წერს „რომინია ლიბერა", ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა კომუნისტური პარტია, რომლის ხელმძღვანელობითაც მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირით დაამხო კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობა და დაამყარა მშრომელთა ხელისუფლება. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაუხსნა კაცობრიობას გზა საზოგადოებრივი წყობილების შესაქმნელად, რომელსაც საფუძვლად უდევს ნამდვილი ჰუმანიზმის პრინციპი. სკკპ XXII ყრილობამ, წერს გაზეთი, მიიღო პარტიის ახალი პროგრამა — თანამედროვე ეპოქის კომუნისტური მანიფესტი. რაკეტის ეს მესამე საფეხური, ნ. ს. ხრუშჩოვის ხატოვანი გამოთქმით, კომუნიზმის ორბიტაზე გაიყვანს საბჭოთა კავშირს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44 წლისთავის დღეს რუმინელი ხალხი თავის უდიდეს აღტაცებას გამოთქვამს საბჭოთა კავშირის გრანდიოზული საქმეების გამო, ახალ და ახალ წარმატებებს უსურვებს საბჭოთა ადამიანებს იმ გზაზე, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ დასახა.



ეროვნული ბიბლიოთეკა




შრომა ომად ეჩვენებათ...

## კეთილშობილური საქციელი

**ფხენიანი,** 3 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ბ. კულაევსკი იტყობინება: ეს მოხდა 29 ოქტომბერს დილით. აღმოსავლეთ კორეის სრუტის უკაცრიელ ნაპირზე ვონსანის გარეუბანში თამაშობდა 6–7 წლის ორი ბიჭუნა. ერთ-ერთმა მათგანმა ფეხი წაიკრა და წყალში ჩავარდა, იგი ფსკერისაკენ მიდიოდა. ნაპირზე დარჩენილმა ბიჭუნამ ხმამაღალი ყვირილი მორთო.

ამ მომენტში მომხდარი ამბის ადგილას მიირბინა რუსმა ჭაბუკმა და გაუხდელად გადაეშვა გაყინულ წყალში. გავიდა რამდენიმე წამი და იგი გამოჩნდა ზედაპირზე გადარჩენილ ბიჭუნასთან ერთად. როცა დარწმუნდა, რომ ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე აღარ მოელოდა, მან გადასცა იგი შეკრებილ ადამიანებს და თვითონ წავიდა.

კორეელი ბიჭუნას გადამრჩენი იყო ხარკოველი იური ნესტეროვი, „ავანგარდის" გუნდის ფეხბურთელი, რომელიც ამ დღეს ქალაქ ვონსანში თამაშობდა.

ამ დილით, გვიამბობს იური ნესტეროვი, მე ჩვეულებრივ დილის ვარჯიშს ვასრულებდი ქუჩაში და ვხედავდი, თუ როგორ თამაშობდა ზღვის ნაპირას ორი ბიჭუნა. უცბად მომესმა ხმამაღალი ტირილი. ვხედავ დგას ერთი ბიჭი. სად არის მეორე? რაც შემდეგ მოხდა, თქვენ იცით. ბიჭუნას, რომელიც საბჭოთა ჭაბუკმა გადაარჩინა, ქვია იუნ ენ ხხო. იგი 6 წლისაა.

იური ნესტეროვის მამაცური და კეთილშობილური საქციელი მარტო ვონსანის მცხოვრებლებმა როდი შეიტყეს ფართოდ. ამაზე წერს დღეს გაზეთი „ფხენიან სინმუნი".

### ამას შენზე ამბობენ, ჩემო სამშობლოვ!

# საოქტომბრო მილოცვები

დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის წინადღეებში საბჭოთა კავშირს მრავალი უცხოელი სტუმარი ეწვია. ამ დღეებში თბილისმა მასპინძლობა გაუწია ბრატისლავის (ჩეხოსლოვაკია) რადიოს თავმჯდომარეს **იან რიბჩანს,** კოლუმბიის უნივერსიტეტის პრორექტორს **გოკვინ მოლანოს** და კალკუტელ პროფესორ **ოტულ ჩანდრა როის.**

უცხოელი სტუმრები ამ დიად საზეიმო დღეებში მიესალმებიან და ახალ წარმატებებს უსურვებენ სტუმართმოყვარე ქართველ ხალხს.

**უცხოელის თვალით**

**ს**აბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას ისტორიული და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ აგრეთვე ახალი პროგრესისა და წინსვლის დიდ ჰორიზონტებს უსახავს სოციალისტურ ქვეყნებს.

ჩვენ მარქსიზმ-ლენინიზმის ერთი დროშის ქვეშ ვისწრაფვით კომუნიზმისაკენ. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ცხოველმყოფელ იდეებთან ერთად ჩვენ გვაკავშირებს აგრეთვე საერთო სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრება.

ასეთი მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობის პირობებში, ცხადია, საბჭოთა კავშირის ყოველი ახალი ნაბიჯი წინ, კომუნიზმისაკენ, ჩვენს საერთო წინსვლას მოასწავებს.

თქვენი დახმარების მიუღებლად შეუძლებელი იყო ჩვენი ქიმიური და მანქანათსამშენებლო მრეწველობის განვითარება. ამიტომ გასაგებია ის დიდი აღფრთოვანება, რომლითაც სოციალისტური ქვეყნები, მათ შორის ჩეხოსლოვაკია, ხვდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებულ კომუნიზმის მშენებლობის ახალ პროგრამას.

მინდა გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილებანი საქართველოში მოგზაურობის შესახებ.

თუ თქვენ ეწვევით საბჭოთა კავშირს, ინახულებთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, თქვენ შეიმუშავებთ სრულ წარმოდგენას პირველ სოციალისტურ სახელმწიფოზე. თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ აქ, საქართველოში, აშკარად, თვალნათლივ დაინახავთ ხორცშესხმული ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგებს. აქ ვნახე საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი შესანიშნავი ახალი სოციალისტური კულტურა მიმზიდველ ეროვნულ ფორმებში. აქ სათუთად იცავენ ისტორიის და უსაზღვრო გატაცებით აშენებენ ახალ ცხოვრებას.

მხურვალე სალამს ვუძღვნი დიდი ოქტომბრის მზით გამთბარ ქართველ ხალხს.

ჩემი სალამი შავი ზღვის ნარინჯოვან სანაპიროთა მშრომელთ, ალაზნის ბარაქიანი ველის მევენახეებს, ჩემს ახალგაცნობილ მეგობარს აკურელ მევენახეთა სახელმოხვეჭილ ბრიგადირს გიორგი ელიზბარაშვილს, ქართული ვაზის ოსტატს ალექსი მოდებაძეს და ყველას, ვინც ამ თეთრწვერა ყინულოვანი დევებით გარშემორტყმულ ზღაპრულ წალკოტში შრომობს...

გულითადი სალამი და კეთილი მილოცვები მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის — თბილისის მცხოვრებთ.

**იან რიბჩანი,**
ბრატისლავის რადიოს თავმჯდომარე.

**ს**აქართველოს მუშებს, გლეხებს და ინტელიგენციას ვულოცავ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44-ე წლისთავს. სიტყვა არ მყოფნის გამოვხატო ჩემი აღფრთოვანება იმით, რისთვისაც მიუღწევია საბჭოთა საქართველოს ხალხს კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი რევოლუციის შედეგად.

ბედნიერი ვარ, რომ სინამდვილედ ქცეულ ზღაპარს შევესწარი. ყველაფერი ეს თქვენი ვაჟკაცური შრომის შედეგია.

**გოკვინ მოლანო,**
კოლუმბიის უნივერსიტეტის პრორექტორი.

**დ**იდი კმაყოფილების გრძნობით დავტოვე თქვენი ქვეყანა. ყველგან, ქართულ უნივერსიტეტსა თუ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სკოლებსა და ტექნიკუმებში, თბილისში თუ შესანიშნავ რუსთავში, ვნახეთ გამრჯე და დიდი კულტურის მქონე ადამიანთა კეთილშობილური შრომის დიდებული ნაყოფი.

განცვიფრებული ვართ თქვენი მიღწევებით. თქვენს სტუმართმოყვარეობაზე მთელ ინდოეთს ვუამბობთ. დაუვიწყარია მასპინძლობა, რომელიც ყველგან გაგვიმართეს. გილოცავთ დიად ოქტომბრის დღესასწაულს. გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს, გაუმარჯოს მშვიდობას!

**ოტულ ჩანდრა როი,**
კალკუტის საინჟინრო კოლეჯის რექტორი, პროფესორი-დოქტორი მექანიკის დარგში.

# შენდება, შენდება...



თბილისი. ხედი სანაპირო ქუჩიდან. ნახატი ლადო კაიდარაშვილისა.

# „განძი" ინდოეთში

## დელის საერთაშორისო კინოფესტივალზე



**მრავალჯერ** მიფიქრია: თვითმფრინავის მრგვალი სარკმლიდან ყურება თვალს ვერ იზიდავს-მეთქი, დედამიწა რაღაც ერთფეროვანი და გეომეტრიულად დახაზული მოჩანს...

მაგრამ ხდება ხოლმე, როდესაც ადამიანი ახალ საინტერესო აზრს აღმოაჩენს ცხოვრებაში და ხშირად აქამდე მრავალჯერ დანახული სრულიად მოულოდნელი სახით წარმოუდგება. ასე მოხდა ამ ორი კვირის წინათაც.

24 ოქტომბერს ჩვენი კინომუშაკთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი მიხ. კვესელავა (დელეგაციის ხელმძღვანელი), მსახიობი ზეინაბ ბოცვაძე და ამ სტრიქონების ავტორი, თვითმფრინავ „ტუ-104"-ით გაეშურა ინდოეთისაკენ, სადაც ქალაქ დელიში უნდა გამართულიყო საერთაშორისო კინოფესტივალი. ჩვენ თან მიგვქონდა მხატვრული კინოფილმი „განძი", ფილმი-ბალეტი „კუზიანი კვიცი", დოკუმენტური სურათები „ვინ მორთო ნაძვის ხე" და „გველეშაპი". ამ ფილმებს უნდა წარმოედგინათ საბჭოთა კინემატოგრაფია დელის საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომელშიც ჩვენს გარდა მონაწილეობას იღებდა 35 სახელმწიფო: საფრანგეთი, იტალია, იაპონია, პოლონეთი, მექსიკა, ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ვიეტნამი, ჩეხოსლოვაკია, არგენტინა...

და აი როდესაც თვითმფრინავმა ჰიმალაის მწვერვალებს გადაუფრინა და ჩვენს თვალწინ ინდოეთის ველების პანორამა გადაიშალა, მე ილუმინატორს არ მოვშორებივარ. მიწა! უმდიდრესი მიწა ინდოეთისა, მაღალი, თოვლიანი მწვერვალებიდან ტროპიკულ ტყეებამდე ისე წარმტაცად ელვარებდა მზის შუქზე, ისე ხმამაღლა მღეროდა სადიდებელს სიმშვენიერეზე და ბუნების ნოყიერებაზე, რომ აღტაცებისაგან თავის შეკავება ძნელი იყო. ვუყურებდი და ვფიქრობდი: ნუთუ მოიძებნება ისეთი ბარბაროსი, რომელიც გადმოიხედავს თვითმფრინავიდან, დაინახავს ამ სიმშვენიერეს და მერე მაინც ხელს დაავლებს იმ სახელურს, რომელიც დედამიწას თავს დაატეხს დამანგრეველ საშინელებას?..

ვფიქრობდი და ვგრძნობდი, თუ რა შემცდარი ვიყავი მაშინ, როდესაც არ მესმოდა ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ დედამიწა ერთნაირად ლამაზი და მიმზიდველია ყოველი წერტილიდან, იქნება ეს თვითმფრინავიდან თუ ავტომანქანიდან, მეშვიდე სართულის აივნიდან თუ ისე უბრალოდ, ჩვეულებრივ შუა ქუჩაში რომ გაჩერდე და უყურო...

და განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, რომ დელის კინოფესტივალზე წარმოდგენილ კინემატოგრაფისტთა ნამუშევრებში მთელი ძალით ჟღერდა ეს ჰუმანური იდეა. ჩვენ ვნახეთ ფრანგული სურათი „ცის სამყაროდან". მთელი ეს ფილმი გადაღებულია მაღლიდან (უთუოდ შვეულმფრენიდან). მაყურებლის თვალწინ გაიარა ფრანგი ოპერატორების მიერ ოსტატურად გადაღებულმა ლონდონის, პარიზის, ვენეციის, რომის, ათენის და სხვა ქალაქების არქიტექტურულმა ანსამბლებმა, გადაიშალა ულურჯესი ცა და ზღვა, ავტოსტრადები, რკინიგზები, მთები, ტბები, ხიდები... და აი ღრუბლებში რაღაც ცუდის მომასწავებლად გაისმის თვითმფრინავის მოტორის გუგუნი... „შეხედე, რა ლამაზია დედამიწა!" — ამბობს დიქტორი. „უყურე და დატკბი, ადამიანო, ეს ხომ ყველაფერი შენი ნაკეთებია!" — უძახის დიქტორი თვითმფრინავის პილოტს და ამის პასუხად ჩვენ ვხედავთ: თვითმფრინავებმა, რომლებიც აქამდე ეკრანზე ბოროტად ზუოდნენ, თითქოს მორცხვად დახარეს თავი და უკან შეტრიალდნენ, სადაც გაქრნენ. დარჩა მოწმენდილი ცა და ქვეშ ზურმუხტად გაშლილი დედამიწა...

ჩვენ ამ პატარა საგაზეთო წერილში არ ვაპირებთ ანალიზი გავუკეთოთ ფესტივალზე წარმოდგენილ ფილმებს, ეს ცალკე წერილის საქმეა. ვიტყვით მხოლოდ, რომ პროგრესული იდეები სულ უფრო და უფრო იპყრობს მოწინავე კინემატოგრაფისტთა ყურადღებას (ჰოლანდია, იაპონია, საფრანგეთი).

დელის საერთაშორისო კინოფესტივალზე წარმატება ხვდა ქართულ ფილმს „განძსაც" (სცენარის ავტორი დ. შენგელაია, რეჟისორი რ. ჩხეიძე, ოპერატორი გ. ჭელიძე, მხატვარი დ. თაყაიშვილი, კომპოზიტორი ს. ცინცაძე). ჩვენ ყოველთვის განვიცდიდით საზოგადოების და განსაკუთრებით ინდოელ კინომუშაკთა ყურადღებას. რაჯ კაპური, ბიმალ როი, კუმარი და სხვანი სიყვარულით ლაპარაკობდნენ საქართველოზე, სადაც მათ ამ რამდენიმე წლის წინათ გაუტარებიათ დაუვიწყარი დღეები.

გაზეთი „ნალბხარაი ტაიმს" კინოსურათ „განძზე" წერდა: „ფილმის ძირითადი აზრი ასეთია: ნამდვილი საგანძური არის არა ოქრო და ვერცხლი, არამედ სინდისიერება".

2 ნოემბერს დელიში იუნესკოს მიერ აშენებულ დიდ დარბაზში შედგა ფესტივალის საზეიმო დახურვა. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებით (ფესტივალს არ ჰყავდა ჟიური და პრემიებს შორის არ ყოფილა დახარისხება) ფესტივალის ერთ-ერთი პრემია მიენიჭა „განძსაც". ფესტივალის პრემია ამ კინოფილმისათვის და აგრეთვე საბჭოთა დოკუმენტური ფილმებისთვის ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ გადასცა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელ მიხ. კვესელავას. ნერუმ თვითეულ ჩვენგანს გადასცა აგრეთვე პირადი ხასიათის საჩუქრები.

**რეზო ჩხეიძე,**
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კინორეჟისორი.





• • •

**სურათებზე:** მარცხნივ — დელის საერთაშორისო ფესტივალის მონაწილენი — მსახიობი ზეინაბ ბოცვაძე (მარჯვნიდან პირველი), ცნობილი ინდოელი კინორეჟისორი და მსახიობი რაჯ კაპური და ფესტივალის სხვა მონაწილენი. მარჯვნივ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ ფესტივალის პრემიას, რომელიც მიენიჭა მხატვრულ ფილმს „განძს", გადასცემს დელეგაციის ხელმძღვანელს მ. კვესელავას. ქვემოთ — პრიზი, რომელიც „განძმა" მიიღო დელის ფესტივალზე.

...ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთი იქამდე მიდის, რომ მშვიდობიან თანაარსებობას „მსოფლიო რევოლუციის იარაღს" უწოდებს. კაპიტალისტური სამყაროს წამყვანი გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი", კომენტარს უკეთებს რა პროგრამას, გაჰკივის: „ეს თავისუფალი სამყაროსათვის ახალი ომის — სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიური და პროპაგანდისტული ომის გამოცხადებაა".

სკკპ XXII ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებიდან.

## ბრძანება თბილისის გარნიზონის ჯარებისადმი

№ 31

1961 წლის 5 ნოემბერი, ქ. თბილისი

### 1961 წლის 7 ნოემბრის პარადის შესახებ

§ 1

1961 წლის 7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44-ე წლისთავის დღეს, რუსთაველის პროსპექტზე დილის 10 საათზე ინიშნება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ა. ტ. სტუჩენკო.

პარადის სარდლობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 2

ნაწილების მეთაურებმა პარადზე გამოიყვანონ ჯარები დამტკიცებული განრიგების მიხედვით.

ჯარების დაწყობა რუსთაველის პროსპექტზე დამთავრდეს 9 საათსა და 45 წუთზე.

ტანსაცმლის ფორმა საზაფხულო საპარადოა.

§ 3

თბილისის გარნიზონის კომენდანტმა პოლკოვნიკმა ი. ტ. გაიდაშმა მოახდინოს საარტილერიო სალუტი ჩემ მიერ მიცემულ მითითებათა თანახმად.

§ 4

ჯარების დაწყობისა და გავლის დროს რუსთაველის პროსპექტზე წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას ვაკისრებ გარნიზონის კომენდანტს პოლკოვნიკ ი. ტ. გაიდაშს.

თბილისის გარნიზონის უფროსი
გენერალ-პოლკოვნიკი
**შტემენკო.**

„კომუნისტის" მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 10 ნოემბერს.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

## ჭადრაკი

# ნ. გაფრინდაშვილის ახალი გამარჯვება

გუშინ გვიან ღამით „კომუნისტის" რედაქციის მუშაკი ტელეფონით დაუკავშირდა იუგოსლავიის ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილე ნ. გაფრინდაშვილის მწვრთნელს მ. შიშოვს და თხოვა მას ჩვენი მკითხველებისათვის ეცნობებინა მეშვიდე ტურის შესახებ.

აი რა გვაცნობა მან:

—ქართველი ოსტატის ნ. გაფრინდაშვილის თამაშით მოხიბლულმა მაყურებლებმა მეშვიდე ტურში კიდევ ერთი დიდი სიამოვნება ძიილეს ჩვენი ხოხას ბრწყინვალე, ლამაზი და კომბინაციური ბრძოლით.

საქმე იმაში იყო, რომ გაფრინდაშვილს მეშვიდე ტურში ყველაზე პასუხსაგები პარტია ჰქონდა გამოცდილ საბჭოთა მოჭადრაკესთან ბორისენკოსთან. სსრ კავშირის ჩემპიონის წინააღმდეგ გაფრინდაშვილმა აირჩია სიცილიური დაცვის ნაკლებად ცნობილი ვარიანტი და დებიუტიდანვე უკეთესი პოზიცია მიიღო. მალე მან მეტოქეს პაიკი შესწირა, რის შემდეგ შესანიშნავი კომბინაციით ფიგურასა და ორ პაიკში მოიგო ლაზიერი და აიძულა ბორისენკო დანებებულიყო.

ეს იყო ტურნირის ერთ-ერთი შესანიშნავი პარტია. აღსანიშნავია, რომ ნ. გაფრინდაშვილი შეხვდა ოთხივე საბჭოთა მოჭადრაკეს — ვოლპერტს, ზვორიკინას, ზატულოვსკაიასა და ბორისენკოს და მათგან 3,5 ქულა აიღო. უთუოდ ბრწყინვალე შედეგია.

ამავე ტურში ზვორიკინამ დაამარცხა ლეინი, ხოლო გრესერ-ნედელკოვიჩისა და კონარკოვსკა-ჰუნდსურენის პარტიებში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ამრიგად, შვიდი ტურის შემდეგ ლიდერობას კვლავ ნ. გაფრინდაშვილი ინარჩუნებს, რომელსაც 5,5 ქულა აქვს ექვსიდან.

7 ნოემბერს გაიმართება მერვე ტური. ნ. გაფრინდაშვილი შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონს ლეინს.

რედაქციამ ჩვენი მკითხველების სახელით საბჭოთა მოჭადრაკეებს, მათ შორის ნ. გაფრინდაშვილს, აგრეთვე საბჭოთა მწვრთნელებს მიულოცა დიდი ოქტომბრის დღესასწაული და წარმატება უსურვა მათ მომავალ ბრძოლებში.

**„კომუნისტის" სპორტი**

## ჩემპიონატი ფრენბურთში

**თბილისში** დამთავრდა საქართველოს პირველობის გათამაშება ფრენბურთში. ქალთა გუნდებს შორის ჩემპიონი გახდა ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელთა კოლექტივი, ვაჟთა გუნდებს შორის — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი.

## 60 კაპიკად—ორი „მოსკვიჩი"

**გორი,** 6 ნოემბერი. (საქდესი). გორის ცენტრალური შემნახველი სალარო აწარმოებს საქართველოს სსრ მესამე გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის მოგებათა გაცემას. გორის ბამბეულის კომბინატის მუშამ ა. მამუკაშვილმა და სოფელ ქიწნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორმა ე. თომაშვილმა მოიგეს ავტომანქანები „მოსკვიჩი".

**თეატრი, კინო**

**თეატრები: 7 ნოემბერი** — ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დაისი (მე-10 აბონ. მე-2 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — თანამედროვე ტრაგედია, **მარჯანიშვილის სახელობის** — მღელვარე დღეები, **გრიბოედოვის სახელობის** — მოგზაურობა სამ დროში (მე-3 აბონ. მე-2 წარმ.), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მხოლოდ შენ ერთს... (რკინიგზელთა სახლში).

**8 ნოემბერი** — **ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის** — მძინარე მზეთუნახავი (დღისით), მინდია (საღამოს, მე-6 აბონ. მე-4 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — თანამედროვე ტრაგედია (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ფეხბურთელები (დღისით და საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — მოგზაურობა სამ დროში (დღისით და საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მხოლოდ შენ ერთს... (დღისით), შავი ზღვა და თეთრი ღამეები (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სომბრერო (აბონ. № 27, 12 ს., აბონ. № 9, 4 ს.).

**ტელევიზია: 7 ნოემბერი** — 09.55 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო პარადისა და მშრომელთა დემონსტრაციის რეპორტაჟი მთავრობის სასახლის წინა მოედნიდან, 18.00 — გადაცემა — „დიდება ოქტომბერს", 18.20 — კინონარკვევი, 18.50 — გადაცემა — „სიმართლე იატაკქვეშეთიდან", 19.00 — ლიტერატურული კომპოზიცია — „ფრთაგაშლილია ხალხის ოცნება", 19.30 — კინოჟურნალი, 19.40 — საესტრადო მიმოხილვა — „სალაღობო", 20.25 — მხატვრული ფილმი — „ჩქარი ოსტრავამდე".

**8 ნოემბერი** — 12.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის, ერთმოქმედებიანი საბავშვო ოპერა „გასეირნება", 12.30 — უფროსკლასელთათვის. მხატვრული ფილმი „სერიოჟა", 18.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.30 — გადაცემა ციკლიდან — „პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად — „დროს გაუსწრეს", 18.40 — კინონარკვევი, 19.10 — კონცერტი — „ზეიმობს ხალხი", 20.00 — საცირკო სპექტაკლის ტრანსლაცია თბილისის სახელმწიფო ცირკიდან.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-68-03, 1-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობის და ტრანსპორტის — 1-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-82-16, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 1-78-24, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 1-64-42.

უე 05677 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.